პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 30 (9806) | პარასკევი, 5 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

წინასაარჩევნო თათბირები (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, მოწვეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით (მე-2 გვერდი).

ა. კოკილაშვილი. — მტს-ი და მისი ადამიანები (მე-2 გვერდი).

სოფლის მოსახლეობას — კულტურული მომსახურება! (მე-3 გვერდი).

საყურადღებო თემაზე. — ჰაობისებური მეურნეობა (მე-3 გვერდი).

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი. ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მტს-ების მუშაკთა პატრიოტული მოვალეობა

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მეთაურობით კოლოსალურ მუშაობას აწარმოებს უახლოეს ხანში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სიუხვის შექმნისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მძლავრი ტექნიკის სრულად გამოყენებას. ახლანდელ პირობებში მტს-ები წარმოადგენენ გადამწყვეტ ძალას საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში, უმნიშვნელოვანეს დასაყრდენ პუნქტებს სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში. პარტიამ და მთავრობამ მტს-ებს დაუსახეს ძირითადი ამოცანა — ყოველი ღონისძიებით გაადიდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა კოლმეურნეობებში, უზრუნველყონ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდა, მისი პროდუქტიულობის ამაღლება, გაადიდონ კოლმეურნეობებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქცია, მიაღწიონ კოლმეურნეობათა შემდგომ საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებას და ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მტს-ების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწვეული მტს-ების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვა საბჭოთა კავშირის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ყველა მუშის, სპეციალისტისა და მოსამსახურისადმი.

მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენი პატრიოტული მოვალეობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკების მოვალეობაა კიდევ მეტი აქტივობითა და ინიციატივით ვიმუშაოთ პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მთელი ძალღონე, გამოცდილება და ცოდნა მოვახმაროთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის, ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის დიად საქმეს... ჩვენ მოვუწოდებთ სატრაქტორო ბრიგადების ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, ბრიგადირებს, სპეციალისტებს — მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ყველა მუშაკს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს სოფლის მეურნეობას“.

ჩვენი დიადი ქვეყნის მექანიზატორებთან ერთად საქართველოს მტს-ების მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ პატრიოტულ მოწოდებას და აქტიურად ებმებიან საკავშირო შეჯიბრებაში სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის საბრძოლველად. თბილისის გარეუბნის რაიონის დიღმის მტს-ის ტრაქტორისტმა ი. პარკაულმა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მექანიზატორის აზრი და გრძნობა გამოხატა, როცა მიმართვის გაცნობისას განაცხადა: ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისათვის. პარტიისა და მთავრობის მიერ მოწვეულ მტს-ების მუშაკთა საკავშირო თათბირს დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. 10 თებერვლიდან სოფელ დიღმის კოლმეურნეობის ბაღებში შევუდგებით სატრაქტორო სამუშაოებს, ყოველდღიურ ნორმებს ერთიორად შევასრულებთ.

მოწოდებას საკავშირო შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის სახელოვანი მექანიზატორები. ეს მტს-ი მოწინავეთა რიგებში დგას და მძლავრი ტექნიკის უნარიანად გამოყენების შესანიშნავ მაგალითს იძლევა. მტს-ის დირექტორი ამხ. პ. ქემოკლიძე გამოცდილი, ნიჭიერი ორგანიზატორია, რომლის მუშაობის გამოცდილება საქართველოს მტს-ებში ფართოდ გავრცელების ღირსია. მექანიზატორები ამაყობენ იმით, რომ ამხ. ქემოკლიძე დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა ყოველმხრივ მომზადებულად შეხვედრისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. შეჯიბრებაში ჩაებნენ და ახალი კონკრეტული ვალდებულებები აიღეს სიღნაღელმა ტრაქტორისტმა ე. ნატროშვილმა, კომბაინერმა მ. ლაზარიაშვილმა, ზესტაფონელმა მექანიზატორმა გ. რობაქიძემ. აგარის მტს-მა შეჯიბრებაში გამოიწვია ხაშურის მტს-ი, თელავისამ — ველისციხისა, ხოლო ზესტაფონისამ — გურჯაანის მტს-ი.

სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სანიმუშოდ მოემზადონ და ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, გამოავლინონ და მთლიანად გამოიყენონ არსებული რეზერვები, მაქსიმალურად, სრული დატვირთვით გამოიყენონ ტექნიკა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნების აღსანიშნავად სოფლად დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. მექანიზატორთა უნარიანი მუშაობით ცალკეულმა მტს-ებმა უკვე შეასრულეს ტრაქტორების საზამთრო რემონტის წლიური გეგმა. ასეთი მტს-ებია წითელწყაროს, ბოგდანოვკის, გურჯაანის, ვარდისუბნისა და ქიათურის მტს-ები.

ამასთან არის სიგნალები, რომ ზოგან შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობის, სათადარიგო ნაწილების დროულად მოუმარაგებლობისა და რემონტის პროგრესული მეთოდის — კვანძური მეთოდის გამოუყენებლობის შედეგად ტრაქტორების შეკეთება ნელი ტემპით მიმდინარეობს. წალკისა და ქედის (წითელწყაროს რაიონი) მტს-ებს ტრაქტორების შეკეთების წლიური დავალება სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული. ბევრად უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ არც კაჭრეთის, წყალტუბოს და ვანის მტს-ებშია. პარტიის რაიონული კომიტეტები და რაისაბჭოების აღმასკომები რატომღაც ურიგდებიან ამ მდგომარეობას და ქმედითად არ ეხმარებიან მტს-ებს ჩამორჩენის გამოსწორებაში. საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები დადგა. ინჟინრების, ტექნიკოსების, მექანიზატორების, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირების და ყველა მექანიზატორის ვალია დროულად და მაღალხარისხოვნად შეაკეთონ თვითეული ტრაქტორი, თვითეული სასოფლო-სამეურნეო მანქანა, ფართოდ დანერგონ მტს-ებში წარმოების ინდუსტრიული კულტურა.

პარტიულმა, პროფესიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მტს-ების მუშაკთა საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვა ფართოდ უნდა გააცნონ ყველა ტრაქტორისტს, კომბაინერს, სახელოსნოს მუშას, სოფლის მეურნეობის სპეციალისტს. საჭიროა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის პირველი დაწყებიდანვე ყურადღება მიექცეს იმას, რომ ნაკისრი ვალდებულებები იყოს კონკრეტული, საქმიანი და სისტემატურად მოაწყონ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება, დაეხმარონ ჩამორჩენილებს გაუთანასწორდნენ მოწინავეებს, უზრუნველყონ შეჯიბრებაში ყველა მექანიზატორის აქტიური მონაწილეობა.

ამხანაგო მექანიზატორებო! უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებს შორის იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა სოფლის მეურნეობას.

პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები მტს-ების ზონების მიხედვით, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის. მტს-ებისა და კოლმეურნეობების კომუნისტები და კომკავშირელები, როგორც ყოველთვის, ამ შეჯიბრების მებრძოლი ორგანიზატორები უნდა გახდნენ.

არჩევნების აღსანიშნავად

რუსთავის მეტალურგებმა გადაჭარბებით შეასრულეს იანვრის დავალება

რუსთავი. (საქ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა შეწყობილი, თავდადებული მუშაობით იანვარში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ფოლადის გამოშვების სახელმწიფო დავალება იანვარში განაღდებულია 101,2 პროცენტით, ნაგლინისა — 103,6 პროცენტით, ხოლო ფოლადის მილებისა — 122,1 პროცენტით.

იანვრის დავალება შეასრულა ქარხნის ყველა ძირითადმა და დამხმარე საამქრომ. მარტენის საამქროს მეფოლადეებმა განახორციელეს 212 ჩქაროსნული დნობა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს საგრძნობი რაოდენობით მისცეს მაღალხარისხოვანი ფოლადი.

წინასაარჩევნო თათბირები

თბილისში გაიმართა მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო რაიონული თათბირები.

პლეხანოვის სახელობის კლუბში შედგა ლენინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების ხალხმრავალი თათბირი. თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვის, მ. გ. პერვუხინის, ნ. მ. შვერნიკის, პ. კ. პონომარენკოს, მ. ა. სუსლოვის, პ. ნ. პოსპელოვის, ნ. ნ. შატალინის, აგრეთვე თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ნოვატორი ხარატის გაბრიელ პეტრეს-ძე სუხინის და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის ლეილა მიხეილის ასული გიორგაძის დასახელებას.

სტალინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვის, მ. გ. პერვუხინის, ნ. მ. შვერნიკის, პ. კ. პონომარენკოს, მ. ა. სუსლოვის, პ. ნ. პოსპელოვის, ნ. ნ. შატალინის, თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ნოვატორი ხარატის გ. პ. სუხინის, და მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დავით ალექსის-ძე ჰოჰინაძის დასახელებას.

კალინინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვის, მ. გ. პერვუხინის, ნ. მ. შვერნიკის, პ. კ. პონომარენკოს, მ. ა. სუსლოვის, პ. ი. პოსპელოვის, ნ. ნ. შატალინის და თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალდაზგოსანი მქსოველის მაგდან დავითის ასული ბურჯანაძის დასახელებას.

ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვის, მ. გ. პერვუხინის, ნ. მ. შვერნიკის, პ. კ. პონომარენკოს, მ. ა. სუსლოვის, პ. ნ. პოსპელოვის, ნ. ნ. შატალინის, აგრეთვე თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალდაზგოსანი მქსოველის მ. დ. ბურჯანაძის დასახელებას.

მოლოტოვის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებმა წინასაარჩევნო თათბირზე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვის, მ. გ. პერვუხინის, ნ. მ. შვერნიკის, პ. კ. პონომარენკოს, მ. ა. სუსლოვის, პ. ნ. პოსპელოვის, ნ. ნ. შატალინის, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძის და თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატის გაბრიელ პეტრეს-ძე სუხინის დასახელებას.

კიროვის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვის, მ. გ. პერვუხინის, ნ. მ. შვერნიკის, პ. კ. პონომარენკოს, მ. ა. სუსლოვის, პ. ნ. პოსპელოვის, ნ. ნ. შატალინის და საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ემილ ალექსის-ძე სეხნიაშვილის დასახელებას.

26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელთა წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვის, მ. გ. პერვუხინის, ნ. მ. შვერნიკის, პ. კ. პონომარენკოს, მ. ა. სუსლოვის, პ. ნ. პოსპელოვის, ნ. ნ. შატალინის, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. დ. ჩუბინიძის და თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატის გ. პ. სუხინის დასახელებას.

გარეუბნის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვის, მ. გ. პერვუხინის, ნ. მ. შვერნიკის, პ. კ. პონომარენკოს, მ. ა. სუსლოვის, პ. ნ. პოსპელოვის, ნ. ნ. შატალინის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძის და საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. სეხნიაშვილის დასახელებას.

წინასაარჩევნო თათბირებზე აირჩიეს ნდობით აღჭურვილი პირები, წინასაარჩევნო საოლქო თათბირების წარმომადგენლები და მიიღეს მიმართვები რაიონების ყველა ამომრჩევლისადმი.

(საქინფორმი).

მტს-ი და მისი ადამიანები

★

ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ი ერთ-ერთი მოწინავეა საქართველოში. მას ჰყავს მექანიზატორთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც თავდადებით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ამ მოწინავე მტს-ის დირექტორი ამხ. პ. ქემოკლიძე დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სურათებზე: ზემოთ — ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის დირექტორი პ. ქემოკლიძე; ქვემოთ — მტს-ის მოწინავე ადამიანები — გოზალიშვილები სამუშაოდან ბრუნდებიან. ცენტრში — სათადარიგო ნაწილების საწყობის გამგე ვასილ გოზალიშვილი და მისი შვილები ხარატი ირაკლი (მარცხნივ) და ზეინკალი შალვა.

ამ მტს-ისა და მისი ადამიანების შესახებ იხილეთ წერილი ამავე ნომერში მეორე გვერდზე.

★

ფოტო ელ. გინზბურგისა.

საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, მოწვეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ

3 თებერვალს საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრის ამხ. კოზლოვის მოხსენების განხილვა.

კრასნოგვარდიის ოლქის საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილობის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოსმა ამხ. ოლეინიკმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი საკვები ბაზის შექმნისათვის. ამ მიზნით ყოველწლიურად სრულდება დიდი სამუშაოები თივისა და უხეში საკვების დამზადებისათვის, მრავალწლიანი ბალახებისა და წვნიანი საკვების მოყვანისათვის. საკვები ჭარხლის მოსავალი 1953 წელს ჰექტარზე 402 ცენტნერს შეადგენდა.

საბჭოთა მეურნეობაში პირუტყვის კვების სწორი ორგანიზაციის შედეგად უკანასკნელ სამ წელიწადში თვითეული ძროხის წველადობა გადიდდა 1.220 კილოგრამით. შემდეგ ამხ. ოლეინიკი ლაპარაკობს საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა შესახებ.

საჯიშე საბჭოთა მეურნეობა „ომსკის“ უფროსმა ზოოტექნიკოსმა ამხ. **კოხომსკიმ** დამსწრეთ გაუზიარა დიდი წველადობის მიღების გამოცდილება. ეს წველადობა 1953 წელს ხუთასი ძროხიდან თვითეულზე 5.485 ათასი კილოგრამი იყო.

ამ შედეგებს საბჭოთა მეურნეობამ მიაღწია გამოცდილი კადრების — მწველავების, მესაქონლეების, ტრაქტორისტების, კომბაინერების მეოხებით. სოციალისტური შრომის გმირის, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. მიასნიკოვას ბრიგადის წევრებმა, მწველავებმა ამხ. [illegible] 1953 წელს თვითეულ ძროხაზე მოწველეს 5.600 კილოგრამი რძე.

საჯიშე საბჭოთა მეურნეობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირუტყვის ჯიშების გაუმჯობესებას ახლომახლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში მან ამ მეურნეობებს მიჰყიდა და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში გაგზავნა 2.600-ზე მეტი ჯიშიანი ძროხა.

ამხ. კოხომსკი აკრიტიკებს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს იმისათვის, რომ მას არა აქვს სამუშაოთა მექანიზაციის გეგმები ცალკეული საბჭოთა მეურნეობების მიხედვით, რაც აძნელებს მათს კომპლექსურ მექანიზაციას.

ლატვიის სსრ საბჭოთა მეურნეობა „ლორუპეს“ დირექტორმა ამხ. კრასოვსკიმ თავის გამოსვლაში მოიყვანა საინტერესო ცნობები, რომლებიც მოწმობენ მეურნეობის ზრდას მისი არსებობის ათი წლის მანძილზე. აქ გამოყვანილია ძროხის ახალი ლატვიური ჯიში, რომელიც დიდი ცხიმიანობის რძეს იძლევა. ამ უკანასკნელ ხანს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ასობით ჯიშიანი მოზარდეული საბჭოთა მეურნეობიდან გაიგზავნა მოკავშირე რესპუბლიკებში. კარგი შენახვითა და სწორი კვებით მოზარდეული დღეღამეში საშუალოდ მატულობს 800 გრამზე მეტს, ხოლო ზოგიერთი მათგანი — კილოგრამსა და უფრო მეტს.

— მაგრამ ჩვენ, — ამბობს ამხ. კრასოვსკი, — ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს. ჯერ კიდევ დიდია პროდუქციის ღირებულება, არ გვყოფნის საწარმოო შენობები, საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს საბჭოთა მეურნეობას საშენი მასალებითა და ჰაობების ამოსაშრობი მექანიზმებით.

საბჭოთა მეურნეობა „ვიისუს“ (ესტონეთის სსრ) დირექტორი ამხ. **მეტსი** ლაპარაკობს, რომ მეურნეობაში ას ჰექტარ მიწაზე ჰყავთ 95 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 36 ძროხა. ამის მეოხებით, აგრეთვე საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდების შედეგად, საბჭოთა მეურნეობა ყოველ ას ჰექტარ მიწაზე იღებს 1.600 ცენტნერ რძეს. ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა დასახა მოიყვანოს ესტონეთისათვის ახალი კულტურები—სასილოსე სიმინდი, სუდანურა, ესპარცეტი, ამასთან ფართოდ დანერგოს თესვის კვადრატულ-ბუდობრივი მეთოდი და საკვები კულტურების დარგვა ტორფნეშომპალიან ქოთნებში.

ამხ. მეტსმა თავის გამოსვლაში გააკრიტიკა ესტონეთის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მუშაობა საბჭოთა მეურნეობებისათვის არასაკმაო ოპერატიული დახმარებისა და ცუდი დაფინანსებისათვის.

ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორმა ამხ. **რედკინმა** წინადადება შეიტანა, რომ საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც ღორებსასუქებენ, დაინერგოს მეცნიერთა მიერ რეკომენდებული მაღალეფექტიანი ღონისძიებანი. კერძოდ საჭიროა პრაქტიკაში შემოვიღოთ წარმოებაში შემოწმებული გასუქება ბურვაკებისა, რომლებიც მიღებულია საჯიშთაშორისო შეჯვარების შედეგად. ლაპარაკობს რა საკვები ბაზის შესახებ, პროფესორი რედკინი რჩევას იძლევა მოიყვანონ საბჭოთა მეურნეობებში მიწავაშლა, რომელიც ძვირფასი სახამებლიანი საკვებია.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ყაზახეთის სსრ ტარანგულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. **სეიტმულინი**, რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მოადგილე ამხ. **პანტიკოვი**, ყირგიზეთის სსრ მეცხვარეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა „ჯუან-ტიუბეს“ დირექტორი ამხ. **დემიანჩუკი**, კრასნოდარის მხარის ცხენსაშენის „ვოსხოდის“ დირექტორი ამხ. **დუბინსკი**.

თათბირი მუშაობას განაგრძობს.

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება

გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით

აფხაზეთის XXII საოლქო პარტიულ კონფერენციაზე

ამ დღეებში გაიმართა აფხაზეთის XXII საოლქო პარტიული კონფერენცია. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ, ახორციელებდა რა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და სექტემბრის პლენუმების დადგენილებებს, სერიოზული მუშაობა გასწია მშრომელთა დასარაზმავად პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების შესრულებისათვის.

აფხაზეთის მრეწველობის მუშაკებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გასული წლის გეგმა 101,1 პროცენტით შეასრულეს. წარმოების დონე წინა წელთან შედარებით 5,1 პროცენტით გაიზარდა. გადაჭარბებით არის შესრულებული ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ციტრუსოვანთა ნაყოფისა და მთელი რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმები.

მომხსენებელი და კონფერენციის დელეგატები, ლაპარაკობდნენ რა მოპოვებულ წარმატებებზე, ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავდნენ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებისა და საწარმოთა, მშენებლობათა და კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკის 20-ზე მეტმა საწარმომ და მშენებლობამ ვერ შეასრულა გასული წლის გეგმა. 26 ფაბრიკამ და ქარხანამ ვერ გაანაღდა წლიური დავალება ასორტიმენტის მიხედვით.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა ამხ. ი. გაბისონიამ სწორად ცნო სამინისტროს მუშაობის კრიტიკა. მან ილაპარაკა ადგილობრივი მრეწველობის გადაუდებელ საჭიროებებზე, მაგრამ არაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ ასწორებს სამინისტროს აპარატი სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების საქმეში არსებულ სერიოზულ ჩამორჩენას.

პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. სიხარულიძემ კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრო, რომ ტყვარჩელში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის ამოღებისა და ელექტროენერგიის წარმოების ტემპების გასადიდებლად, საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობის ფართოდ გასაშლელად.

კონფერენციის ყურადღების ცენტრში იდგა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე საკითხები. კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ ნელა მუშაობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

მოხსენებაში და კონფერენციის დელეგატთა გამოსვლებში მოყვანილი იყო ციფრები, რომლებიც მოწმობენ მეცხოველეობის პროდუქტიულობის განსაკუთრებით დაბალ დონეს.

დელეგატებმა მთელი სიცხადით გამოააშკარავეს მეცხოველეობის არადამაკმაყოფილებელი განვითარების მიზეზები, რაც უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ შეუწყნარებლად ჩამორჩება საკვების წარმოება და დამზადება.

ოჩამჩირის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ტ. სოსელიამ, პარტიის გალის რაიკომის მდივანმა ამხ. ო. ნადარაიამ, პარტიის სოხუმის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. კვიცინიამ, პარტიის გულრიფშის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ჯომიდავამ, გუდაუთის მტს-ის დირექტორმა ამხ. ს. ალანიამ, გაგრის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ზებელიანმა და სხვებმა სამართლიანად გააკრიტიკეს საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროები, პარტიის საოლქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილება, რომელიც ხშირად სასოფლო-სამეურნეო წარმოების არსებითი საჭიროებებისაგან მოწყვეტით მუშაობს.

— რაიონში მუშაობის სამი წლის მანძილზე, — განაცხადა კონფერენციაზე პარტიის გუდაუთის რაიკომის განყოფილების გამგემ ამხ. ჩ. ცაცუამ, — მე ერთხელაც არ მინახავს ჩვენთან არც პარტიის საოლქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. გიგინეიშვილი, არც ამ განყოფილების ინსტრუქტორი.

კონფერენციამ ყურადღება გაამახვილა მეჩაიეობის, მეთამბაქოობის, მეციტრუსეობის, მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაზე, რომლებსაც წამყვანი ადგილი უჭირავს აფხაზეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაში. მომხსენებელმა და კონფერენციის დელეგატებმა აღნიშნეს, რომ პლანტაციები რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში მოუვლელია.

აფხაზეთში სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროცესების მექანიზაციის დაბალი დონე, რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

კონფერენციის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იდეოლოგიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობის დონის გადაჭრით ამაღლების აუცილებლობას. სერიოზული ნაკლოვანებებია კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში, დაბალია პარტიული და საბჭოთა აქტივის სემინარების მეცადინეობის იდეურ-პოლიტიკური დონე.

აფხაზეთში იყო კადრების შერჩევისა და განაწილების პარტიული პრინციპის უხეშად დამახინჯების ფაქტები, ირღვეოდა ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპები. ხელმძღვანელობდა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელ თვეებში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია აფხაზეთში პარტიის პოლიტიკის ამ უხეში დარღვევათა და დამახინჯებათა გამოსასწორებლად. მაგრამ ნაკლოვანებანი პარტიული მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგებში ჯერ კიდევ ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზური ალფაბეტის რუსულ გრაფიკულ საფუძველზე გადაყვანის შესახებ, რაც დიდი მოვლენაა აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში. კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორმა ხ. ბღაჟბამ ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც უნდა გასწიოს ინსტიტუტმა, რათა წარმატებით დანერგოს აფხაზური ენის ახალი ალფაბეტი.

გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს უახლოეს ხანში შექმნა აფხაზურ-რუსული და აფხაზურ-ქართული ლექსიკონებისა, შედგენა აფხაზური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებისა, აგრეთვე წიგნებისა, რომლებშიც ნაჩვენები იქნება რუსი ხალხის მოწინავე კულტურის გადამწყვეტი გავლენა ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურის განვითარებაზე.

კონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია გაძლიერდეს პარტიული ორგანიზაციების ყურადღება საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საკითხებისადმი. მომხსენებელი და კონფერენციის დელეგატები ლაპარაკობდნენ იმ დიდ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციებში გაჩაღდა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. დ. **ჩუბინიძემ.**

კონფერენციამ აირჩია საქართველოს კ. პ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია და საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის დელეგატები.

* * *

შედგა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **გ. გეგეშიძე**, მეორე მდივნად — ამხ. **ა. ბონდარევი**, მდივნად — **ამხ. ი. თარბა.**

საუბრები და ლექციები

გორი. (საქ. კორ.). დიდი გამოცოცხლებაა გორის ბამბეულის კომბინატთან შექმნილ აგიტპუნქტებში. იქ ყოველდღიურად ძლიერდება საააგიტაციო-მასობრივი მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით. კომბინატის პარტბიურომ დამატებით გამოჰყო 23 აგიტატორი, საფაბრიკო სკოლასთან შეიქმნა ახალი აგიტპუნქტი. ყველა საამქროში მოეწყო საააგიტაციო საუბარი თემაზე: „საბჭოთა საარჩევნო სისტემა". ახლა აგიტატორები ფეიქრებს ასწავლიან არჩევნების დებულებას.

ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში იკითხება ლექცია-მოხსენებანი თემებზე: „გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია", „საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობანი", „არჩევნები ჩვენში და კაპიტალისტურ სახელმწიფოებში".

პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირი.

მტს-ი და მისი ადამიანები

1. გადამწყვეტი ძალა საკოლმეურნეო წარმოებაში

თუ მიემგზავრებით ლაგოდეხში, მიჰყვებით ლარივით გაჭიმულ გზატკეცილს, ცნობისმოყვარეობით აკვირდებით მიდამოს და თქვენს გულში სიხარულისა და სიამაყის გრძნობა ზღვავდება.

ამ სიხარულს, ამ სიამაყეს თავისი საფუძველი აქვს. ჯერ ზამთარია, მაგრამ გაზაფხულის სურნელება იგრძნობა გარემოში. თოვლის საბანი გადასცლია მექანიზატორთა და კოლმეურნეთა ბარაქიანი მარჯვენით დამუშავებულ მინდორ-ველებს, საშემოდგომო ნათესებს გადაუმწვანებია ალაზნის დაბლობები. მხოლოდ აქაიქ, ღრანტეებსა და მზემიუწვდომელ ადგილებში მოჩანს თოვლის მილეული ნარჩენები. ორიოდე მზიანი დღე და, თოვლის ნატამალიც არ დარჩება, ჯეჯილი ყელს მოიღერებს, აბიბინდება, დაპურდება, გულს გაახარებს.

ლაგოდეხისაკენ გზად მიმავალი ადამიანი მარტო ბუნების სილამაზით, მისი მრავალფეროვანებით როდი იხიბლება. თუ მას ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს ამ კუთხის არც თუ ისე შორეულ წარსულზე, ადვილად მიხვდება, რა კოლოსალური შრომა არის გაწეული ბუნების დასამორჩილებლად, მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად.

ამ ორინახევარი ათეული წლის წინათ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივი ზრუნვის მეოხებით სოფლის მეურნეობის განვითარება აღმავლობის გზით წავიდა. ადგილებზე მოეწყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, ისინი აღიჭურვნენ მძლავრი ტრაქტორებით და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით, შეივსნენ სპეციალისტთა ახალგაზრდა მზარდი კადრებით. ჩვენი მრეწველობა სულ უფრო და უფრო სრულყოფდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ამზადებდა სოფლის მეურნეობის სამუშაოთა სრული მექანიზაციისათვის გაშლილი ფრონტით შეტევას.

მექანიზატორთა ახალგაზრდა კადრებმა მართლაც გმირული შრომა გასწიეს და კოლმეურნეებთან მჭიდრო თანამეგობრობით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს. ლაგოდეხელ მექანიზატორთა და კოლმეურნეთა შრომითი გმირობის ამბები აღაფრთოვანებს არა მარტო მისი მეზობელი რაიონების, არამედ რესპუბლიკის სხვა რაიონების კოლმეურნეებსაც. თუ ახლა ლაგოდეხის რაიონი მარცვლეული კულტურებისა და თამბაქოს მაღალი მოსავლით არის ცნობილი, ამაში განსაკუთრებული დამსახურება ამ რაიონის მექანიზატორებს მიუძღვით.

საყოველთაოდ აღიარებენ ამას კოლმეურნეობებში, რომლებსაც ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ი ემსახურება. ამ მტს-ს საინტერესო ისტორია აქვს. იგი ნამდვილად არის საკოლმეურნეო წყობილების ინდუსტრიული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჭეშმარიტად წარმოადგენს გადამწყვეტ ძალას საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. საკმარისია ითქვას, რომ მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში მინდვრის სამუშაოები ძირითადად მანქანებით სრულდება.

— მტს-ი ჩვენი სიამაყეა, — ამბობს სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" კოლმეურნე ფირუზ ზარიძე, — მან შრომა ისე შეგვიმსუბუქა, რომ უკეთეს ვერ ინატრებს კაცი. აი თუნდაც ასეთი ფაქტი. შარშან საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის კოლმეურნეობის ყველა 40 გუთანი შევაკეთეთ, მუშა-საქონელი გაძლიერებულ კვებაზე გადავიყვანეთ, ვფიქრობდით ტრაქტორების პარალელურად გუთნებიც გაგვეყვანა სახნავად. მაგრამ მექანიზატორებმა დაგვასწრეს და სანამ ჩვენ გუთნებს შევაბამდით, მათ უკვე ხვნა-თესვის გეგმა მთლიანად შეგვისრულეს. ამის გამო ჩვენი კოლმეურნეები ბრიგადირებს აბეზრებდნენ — კარგად მოუარეთ მაგ გუთნებს, არ დაგვიჟანგდეთ, გაზაფხულზე მაინც გამოგვადგებათო.

* * *

ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის კოლექტივს მართლაც კარგი მაჩვენებლები აქვს. გასული სამეურნეო წელი მან წარმატებით დაამთავრა. თვითეულ 15-ძალიან ტრაქტორზე გამოიმუშავა 505 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 445 ჰექტარისა, და კოლმეურნეობებში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ყველა ძირითად სახეში საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა. მან მოსავლიანობის გასადიდებლად გამოყენებული ჰქონდა პროგრესული მეთოდები. ნიადაგის ხვნა ჩაატარა ღრმად, შემოდგომის ხორბლის ნათესის 80 პროცენტი დათესა ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად. ყველა ბრიგადა ნათესებს მთელ ფართობზე ატარებს ჯეჯილების ცალმხრივ და ჯვარედინ დიაგონალურ ფარცხვას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში მექანიზაციის დონე აყვანილია: თავთავიანი მარცვლეული კულტურებისათვის ნიადაგის ყველა სახის სამუშაო და თესვა 95 პროცენტამდე, თავთავიანი კულტურების მოსავლის კომბაინებით აღება 84 პროცენტამდე, ხოლო საგაზაფხულო კულტურებისათვის მზრალად ხვნა სრულ ას პროცენტამდე.

მექანიზატორები შესანიშნავად ფლობენ საბჭოთა მთავრობის მიერ მათთვის მინდობილ ტექნიკას, ზედმიწევნით იყენებენ მოწინავე მტს-ების გამოცდილებას — საათობრივ გრაფიკს, სამუშაოთა კომპლექსს, რადიოსადისპეტჩერო სამსახურს, ტრაქტორების შეკეთების კვანძურ მეთოდს. ამიტომ არის, რომ მტს-ი წლითიწლობით გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას, მნიშვნელოვანი რაოდენობით ზოგავს საწვავს, აიაფებს ჰექტარი ნიადაგის დამუშავებას, ამაღლებს მის ხარისხს და ყოველწლიურად აღწევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას.

სურათზე: მტს-ში მუდმივ სამუშაოზე ჩასული ცოლ-ქმარი გივი და ვენერა კაკალაშვილები ამოწმებენ ავტოტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

* * *

მხოლოდ ერთი ფაქტი. თუ 1948 წელს მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში ხორბლის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 7,9 ცენტნერს შეადგენდა, ხოლო თამბაქოს მოსავალი 13,2 ცენტნერს, 1953 წელს ხორბლის მოსავალი ყოველ ჰექტარზე 17,5 ცენტნერამდე ავიდა, თამბაქოს მოსავალმა კი ჰექტარზე 21 ცენტნერს გადააჭარბა.

უფრო მეტიც. სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა" შარშან ჰექტარზე აიღო 21 ცენტნერი ხორბალი, ხოლო თამბაქოს მოსავალი 28 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 21 ცენტნერისა. ცალკეულ ბრიგადებში ხორბლის მოსავალმა 24, ხოლო თამბაქოს მოსავალმა 34 ცენტნერს გადააჭარბა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მტს-ის იმ ბრიგადებს, რომლებსაც გამოცდილი მექანიზატორები ალექსანდრე შიხაშვილი და ფირუზ რიჟამაძე ხელმძღვანელობენ.

ასეთი ადამიანები ხომ მტს-ს ბევრი ჰყავს...

2. კეთილშობილური პროფესიის პატრიოტები

ყოველ პროფესიას თავისი პატრიოტი ჰყავს. პროფესიისადმი სიყვარული წლობით გმირულ შრომაში ვლინდება და იჭედება. ხშირია ისიც, რომ მთელი ოჯახის შემადგენლობა ამა თუ იმ პროფესიის პატრიოტი ხდება. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში ცოტა როდია მაღაროელთა ოჯახი, მეტალურგთა ოჯახი, რკინიგზელთა ოჯახი, მასწავლებელთა, აგრონომთა, ინჟინერთა და სხვა სპეციალობის მოყვარულთა ოჯახები! ეს ხდება იმიტომ, რომ ყოველი პროფესიის ადამიანს ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ღირსეული დაფასება აქვს, რომ ყოველი პროფესიის ადამიანი გარემოსილია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით. ამავე დროს ყოველ კეთილშობილურ პროფესიას თავისი რომანტიკა, თავისი ლირიკა აქვს.

ასეა მექანიზატორის პროფესიაც.

ლაგოდეხის მტს-ში 300-მდე კაცი მუშაობს. მათ შორის 150 მექანიზატორია: ტრაქტორისტი, კომბაინერი, ზეინკალი, ხარატი, მჭედელი, ინჟინერ-მექანიკოსი. ყველას უსაზღვროდ უყვარს თავისი პროფესია, პატივს სცემს მას. არის ისეთი მაგალითიც, როცა ამა თუ იმ მექანიზატორს სხვა სამუშაოზე აწინაურებენ, მაგრამ იგი უარს აცხადებს: მე ჩემს ხელობაზე მუშაობა მირჩევნიაო.

ამ მტს-ში ასეთ მექანიზატორთა რიცხვს ეკუთვნიან მამა-შვილი ენუქიძეები და გოზალიშვილები, ძმები კევლიშვილები, ნატროშვილები და ბატიაშვილები, ცოლ-ქმარი კაკალაშვილები და სხვ.

ნიკოლოზ ენუქიძე 25 წელზე მეტია ტრაქტორისტის პროფესიას ფლობს. ამ მადლიანი მარჯვენის ადამიანს მტს-ში მუშაობის მანძილზე გაზრდილი ჰყავს 17 ტრაქტორისტი და კომბაინერი. ნიკოლოზი ამაყობს იმით, რომ მისი ვაჟიშვილები 27 წლის როსტომი და 18 წლის სერგოც მოწინავე ტრაქტორისტები არიან. როსტომი უკვე მეორე წელია კომბაინერის პროფესიასაც დაეუფლა.

— შვილები გჯობნიან, ნიკოლოზ, შვილები! — ხშირად ხუმრობით ეტყვიან ხოლმე მეგობრები ენუქიძეს.

— მერე და რა არის სათაკილო! — სიამაყით უპასუხებს მათ ნიკოლოზი. — განა ის არ ურჩევნია მამულს, რომ შვილი სჯობდეს მამას!.. მაგრამ ნიკოლოზი ერთ ამბავს ვერ ურიგდება.

—მესამე ვაჟიც მყავს, 16 წლის ბიძინა, — ამბობს იგი, — ჯერ სკოლაში სწავლობს, მაგრამ ტრაქტორს უკვე დაუფლებულია. შარშან საზაფხულო არდადეგების დროს მოსავლის აღებაში გვეხმარებოდა. ახლა კი აუტეხია, მოსვენებას არ მაძლევს — ბარემ მეც მტს-ში წამოვალ და იქიდანაც გავიკვლევ ცოდნისკენ გზასო. აბა მითხარით, შეიძლება ამ ბალღის სკოლიდან წამოსვლა! მაგრამ, — თვითონვე დასძინა, — როცა უყვარს ჩვენი პროფესია, რას იზამ, ისიც ხომ ადამიანია პერსპექტივით...

ნიკოლოზ ენუქიძე მთელ მტს-ში სამაგალითო მექანიზატორია. შარშან „დტ-54" მარკის ტრაქტორით ნაცვლად 600 ჰექტარისა 1.215 ჰექტარი გამოიმუშავა. შრომაში გულმართალი და პატიოსანი ადამიანია. მასზე ხშირად გაიგონებთ კოლმეურნეებისაგან:

— კოლია ენუქიძე თავისებური კაცია. ძალიანაც რომ შეეხვეწო, 20 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხანით, 28-30 სანტიმეტრზე ნაკლები სიღრმით მაინც არ მოხნავს.

ასეთი თავდადებული შრომით მოიხვეჭა სახელი რაიონის ყველა კოლმეურნეობაში.

ზეინკალი ვასილ გოზალიშვილი და მისი შვილები ზეინკალი ირაკლი და მჭედელი ვაჟა სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ მტს-ის მთელ კოლექტივში. თუ მინდვრად გასული ტრაქტორები და კომბაინები ყოველთვის კარგად მუშაობენ, ეს მათი დამსახურებაც არის.

ივანე კევლიშვილმა ტრაქტორისტობიდან უბნის მექანიკოსამდე მიაღწია. თუმცა უმაღლესი განათლება არა აქვს, მაგრამ როგორც პრაქტიკოსი-მექანიკოსი მანქანების ზედმიწევნით ცოდნით დახელოვნებულ სპეციალისტებსაც აოცებს. მისი ძმა ლევანი ტრაქტორისტად მუშაობს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ივანე კმაყოფილი არ არის თავისი ძმით, რადგან იგი მხოლოდ ერთ პროფესიას არის დაუფლებული. — ახლანდელ ვითარებაში მარტო ტრაქტორისტობა როდია საკმარისი, — შენიშნავს იგი, — კარგი ტრაქტორისტი ვალდებულია რამდენიმე პროფესიას დაეუფლოს.

აქ ყურადღებას იპყრობენ ახალგაზრდა სპეციალისტები — ცოლ-ქმარი ვენერა და გივი კაკალაშვილები. სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები, როგორც კი გაეცნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას, მაშინვე გამოეხმაურნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებას და მიიღეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება: ლაგოდეხის მტს-ში წასულიყვნენ მუდმივ სამუშაოზე. მტს-ის კოლექტივმა გულთბილად მიიღო ახალგაზრდა სპეციალისტები. ამჟამად გივი მუშაობს ავტომექანიკოსად, ხოლო მისი მეუღლე ვენერა — მტს-ის ინჟინერ-კონტროლიორად. ორივენი უკვე ახლოს გაეცნენ ამ რთული საწარმოს მუშაობას და თავდადებით შრომობენ სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

მოწინავე მექანიზატორთა რიგებში არიან მტს-ის სხვა სახელოვანი ადამიანებიც, მათ შორის ტრიდიონ შუბითიძე, რომანოზ გოზალიშვილი, ფირუზ რიჟამაძე, სერგო ჭაბაშვილი, ალექსანდრე მაგაევი, სილოვან ჯიშიაშვილი და მრავალი სხვა, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად სტახანოვურ ვახტზე დგანან და მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში.

3. ახალი ვითარება, ახალი ამოცანები

მტს-ის დირექტორის კაბინეტში თავი მოუყრიათ კოლმეურნეობებში მომუშავე სპეციალისტებს. მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რაზე იყვნენ დირექტორთან გამოძახებული. ისე კი, ეტყობოდათ, გრძნობდნენ სერიოზული გასაუბრება იქნებოდა მათთან.

— ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზანია, — მიმართა შეკრებილთ მტს-ის დირექტორმა პართენ ქემოკლიძემ, — სერიოზულად მოვილაპარაკოთ კოლმეურნეობებში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების პრაქტიკულ საკითხებზე. ამხანაგებს ვთხოვთ ილაპარაკონ მხოლოდ არსებითს საკითხებზე, როგორ მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება და გაზაფხულისათვის მზადება.

დირექტორმა ამასთან მოაგონა დამსწრეებს, რომ მტს-ის უფროსმა აგრონომმა ალექსანდრე შავლაყაძემ, რომელიც მტს-ების მუშაკთა საკავშირო თათბირზე მტს-ის კოლექტივს სახელით მთელი რიგი ვალდებულებანი იკისრა, სთხოვათ წამოეყენებინათ წინადადებანი ამ ვალდებულებათა პრაქტიკულად განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

თათბირზე გამოსულმა სპეციალისტებმა ფ. კაპანაძემ, ა. ზარაფიშვილმა, ი. იოსელიანმა, პ. დონაძემ, ს. პანტურიამ, ბ. კაკალაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ სერიოზული ჩამორჩენაა მეცხოველეობისათვის საჭირო საკვები ბაზის შექმნის, მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საქმეში.

გამოირკვა ისიც, ზოგიერთ კოლმეურნეობაში დღემდე მომარაგებული არ არის მზესუმზირისა და კარტოფილის, აგრეთვე მრავალწლიანი საკვები ბალახების თესლი, ჩამორჩენაა ბაზიდან მინერალური სასუქების გამოზიდვის საქმეში.

დირექტორის მხედველობიდან არ გამოჰპარვია სიტყვებით გამოსულთა არც ერთი საქმიანი შენიშვნა და წინადადება, იგი გულისხმიერად ეკიდებოდა მტს-ის დირექციის მისამართით გაკეთებულ კრიტიკულ შენიშვნებსაც. როდესაც სიტყვის მსურველი აღარავინ აღმოჩნდა, ამხ. ქემოკლიძემ ჩამოაყალიბა ის გადაუდებელი, მეტად პასუხსაგები მოვალეობანი, რაც მტს-ის მთელ კოლექტივს ეკისრება სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის თავდადებულ ბრძოლაში.

არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ, მიმდინარე წელს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების, კარტოფილისა და ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გაზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი აღმავლობისათვის, მტს-ების მუშაკთა საკავშირო თათბირის მიმართვის პასუხად, მტს-ის კოლექტივმა იკისრა:

შემოდგომის ხორბლის ნათესის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყოს 22 ცენტნერი მარცვლის მიღება, რისთვისაც გაატარებს აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს;

უზრუნველყოს სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე 40 ცენტნერის, მზესუმზირას — 18 ცენტნერის, კარტოფილის — 180 და ბოსტნეულის 170 ცენტნერი მოსავლის მიღება; ამ მიზნით ფართოდ გამოიყენოს კვადრატულ-ბუდობრივი თესვის მეთოდი და მოსავლიანობის გადიდების სხვა აგროტექნიკური ღონისძიებანი;

თამბაქოს პლანტაციების სანიმუშოდ დამუშავებით მიაღწიოს საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერი თამბაქოს მოსავლის მიღებას;

მიმდინარე წელს მთლიანად დაამთავროს მტს-ის მომსახურების ათივე კოლმეურნეობაში მეცხოველეობის ფერმების სრული მექანიზაცია.

ლაგოდეხელ მექანიზატორთა ვალდებულებებში სრულყოფილად არის ასახული იმ გადაუდებელი საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტა, რაც მტს-ის მუშაკთა საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვაშია წამოყენებული.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მტს-ის მუშაკები კოლმეურნეებთან მჭიდრო თანამეგობრობით შეძლებენ ღირსეულად განახორციელონ ნაკისრი ვალდებულებანი. ამის საწინდარია პარტიისა და მთავრობის ის უდიდესი დახმარება და ყურადღება, რასაც მექანიზატორები ყოველდღიურად გრძნობენ მძლავრი საბჭოთა ტექნიკით მტს-ის აღჭურვით და მათი კეთილდღეობისათვის შეუნელებელი ზრუნვით.

* * *

ის იყო მტს-ის სპეციალისტთა თათბირი დამთავრდა, რომ პარტიის რაიკომიდან დარეკეს. ამხ. ქემოკლიძეს აცნობეს, რომ თელავის, ყვარლის, გურჯაანის და ლაგოდეხის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე იგი ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თელავის № 635 საარჩევნო ოლქში.

ხალხის ასეთი მაღალი ნდობის გამოცხადებით აღელვებულმა მექანიზატორთა დიდი კოლექტივის გამოცდილმა ხელმძღვანელმა ესღა მოახერხა ეთქვა:

— ეს მაღალი ნდობა მთელ ჩვენს კოლექტივს ეკუთვნის.

ა. კოკილაშვილი,
ლაგოდეხი.

სურათებზე: 1. მტს-ში ახალი ტრაქტორები მიიღეს. წარჩინებული ტრაქტორისტები ნიკოლოზ ენუქიძე (მარჯვნივ) და მისი შვილები როსტომ (მარცხნივ) და სერგო ათვალიერებენ ახალ ტრაქტორს. 2. მეშვიდე ბრიგადის ტრაქტორისტი ლ. კევლიშვილი (მარჯვნივ) ჭრის ჩალას სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში. მისი ძმა უბნის მექანიკოსი ი. კევლიშვილი (მარცხნივ) ამოწმებს ტრაქტორის მუშაობას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სოფლის მოსახლეობას — კულტურული მომსახურება!

კულტურის მუშაკთა თათბირზე

ამ დღეებში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მოიწვია აფხაზეთის და აჭარის ასსრ კულტურის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის, ქალაქებისა და რაიონების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირი აქტივთან ერთად.

თათბირმა მოისმინა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ამხ. ა. გუნიას მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე საინსტრუქციო მოხსენებები: საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. ი. ახვლედიანისა — „კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხები სოფლად“ და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველოს უფროსის ამხ. პ. კობახიძისა — „კინომომსახურების საკითხები სოფლად“.

თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სოფლებში წლითიწლობით ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების შემდეგ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად ერთგვარად გამოცოცხლდა. უმჯობესდება ლექციური პროპაგანდა, ბევრმა კლუბმა, ბიბლიოთეკამ და მუზეუმმა გააძლიერა სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურება.

მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ამჟამად არსებული ქსელი ვერ აკმაყოფილებს სოფლის მოსახლეობის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს. რესპუბლიკაში არსებული 2.060 კოლმეურნეობიდან 235-ს ჯერ კიდევ არა აქვს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. მთელ რიგ რაიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები მოთავსებულია უვარგის ბინებში.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და კინოქსელი ბევრგან უზრუნველყოფილი არ არის სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშაკებით.

სასოფლო კლუბებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სოფლის ინტელიგენციის ჩაბმას მხატვრული თვითმოქმედების, ლექტორიუმების, საცნობო-საკონსულტაციო ბიუროების, კედლის გაზეთების და სხვ. მუშაობაში. მთელი რიგი რაიონების ბიბლიოთეკები სათანადო მუშაობას არ ეწევიან წიგნის პროპაგანდისა და მკითხველთა მომსახურების გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებით სუსტად წარმოებს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის პროპაგანდა.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსახლეობის კინომომსახურება. 1953 წლის განმავლობაში მოეწყო მხოლოდ 87.450 კინოსეანსი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100.977-სა. ნაკლებად ხდება კინოფილმების დემონსტრირება სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

სოფლის მოსახლეობას სათანადო მომსახურებას არ უწევენ სახელმწიფო თეატრები და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია. სუსტია მათი მეთოდური დახმარება სოფლის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისადმი.

რესპუბლიკის საგამომცემლო ორგანოების მიერ გამოცემული სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა ვერ აკმაყოფილებს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

სერიოზული ჩამორჩენა იგრძნობა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების რადიოფიკაციის საქმეში. რესპუბლიკის 1.598 საკლუბო დაწესებულებიდან რადიოფიცირებულია მხოლოდ 539.

თათბირმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის, საქალაქო და რაიონული აღმასკომების კულტურის განყოფილებების, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს, ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მთავარი სამმართველოს, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის, საქართველოს სსრ ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლისა და კულტურის ცენტრალური სახლის არასაკმაო, არაოპერატიულ ხელმძღვანელობას სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი.

თათბირზე მოსმენილ მოხსენებების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა გამგეებმა: ბ. გოცირიძემ (გორი), ნ. ქორიძემ (ფოთი), ო. ჯღარკავამ (გეგეჭკორი), ვ. გობრონიძემ (ბორჯომი), გუდაუთის კულტურის რაიონული სახლის დირექტორმა ი. ჭანტურიამ, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების განყოფილების უფროსმა ი. კონცელიძემ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ზ. მუჩიაშვილმა, საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორმა მ. ჩირინაშვილმა და სხვ.

თათბირმა დასახა ღონისძიებანი სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საყურადღებო თემაზე

ჭაობისებური მყუდროება

არის კლარა ცეტკინის ქუჩაზე ერთი პატარა, ერთსართულიანი შენობა. მასში მნიშვნელოვანი სახელმწიფო დაწესებულებაა მოთავსებული.

ყოველ დილას, განსაზღვრულ დროს, ამ მყუდრო შენობასთან მსუბუქი ავტომანქანა ჩერდება. დიდი გაჭირვებით, ქშენით მანქანიდან კაცი გადმოდის. ეს გახლავთ სამმართველოს უფროსი. იგი დინჯად მიემართება კაბინეტისაკენ, შეაღებს თუ არა კარს, მრგვალ სავარძელზე დაეშვება და „მჩქეფარე“ საქმიანობას „გააჩაღებს“... ასე იქნება ერთხანს, თუ ტელეფონმა არ დაურღვია მყუდროება (ოჰ, ეს ტელეფონები! მეტი რა გზაა, უნდა უპასუხოს). რამდენჯერმე მოასწრებს ჩათვლემას, ზოგჯერ გამოძინებასაც. ძლივს მოახერხებს დოკუმენტებზე ხელის მოწერას, რომ კვლავ ჩამოდგება ავტომანქანა, წავა დასასვენებლად „შრომით დაქანცული“ უფროსი, თუმცა სამუშაო დღის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო არის და, არ დაბრუნდება ხვალამდე.

ზედგამოჭრილი ლუარსაბ თათქარიძეა ეს უფროსი. მასაც ხომ ისე სძულს მოძრაობა და უყვარს ძილი, როგორც დარეჯანის პატივცემულ მეუღლეს. ეს გახლავთ „გლავვტორჩერმეტის“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ვიქტორ დიმიტრის-ძე კვიტაშვილი. უდარდელად, უდრტვინველად „მუშაობს“ ამ დაწესებულებაში.

თბილ ადგილზე მოიკალათა თვით კვიტაშვილმა — კარგი ხელფასი, კოხტა კაბინეტი, ავტომანქანა... მეტი რა არის საჭირო „უფროსისათვის“? მეთვრამეტე წელია რაც ამ ადგილს შეეთვისა. მარტო ერთი რამ აკლია — ხელმძღვანელობის უნარი.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ამ შენობაში მნიშვნელოვანი სახელმწიფო დაწესებულებაა მოთავსებული. ეს მართლაც ასეა. მას ევალება საქართველოს რესპუბლიკაში (ნაწილობრივ მის ფარგლებს გარეთაც) დაამზადოს შავი ლითონის ჯართი — მეტალურგიული მრეწველობის ეს მეტად ძვირფასი და აუცილებელი ნედლეული. ნაკლები იქნება ჯართი, ნაკლები იქნება ფოლადიც. ლითონის ჯართის შეგროვებისა და გადაზიდვის დავალებათა შეუსრულებლობას მეტალურგიულ საწარმოთა მუშაობის შეფერხება მოსდევს. აქედან, ცხადია, თუ რამდენად პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ „გლავვტორჩერმეტის“ მუშაკებს. ისინი რესპუბლიკური სამმართველოს საშუალო მაჩვენებლებს ეფარებიან, ამაყობენ, რომ გასული წლის დავალება შეასრულეს. ნამდვილად კი საერთო მაჩვენებლებს უკან მეტად სავალალო სურათი ჩანს. რესპუბლიკის 77 რაიონიდან, ქალაქიდან, ავტონომიური რესპუბლიკიდან და ოლქიდან რომლებსაც შავი ლითონის ჯართის შეგროვებისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმა ჰქონდათ, დავალება არ შეუსრულებია 57 რაიონსა და ქალაქს. მათ სახელმწიფოს დააკლეს 5.140 ტონაზე მეტი ჯართი. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ „გლავვტორჩერმეტის“ რესპუბლიკური სამმართველო სუსტად მუშაობს ჯართის ჩამბარებელ ორგანიზაციებთან, ვერ ხელმძღვანელობს და ჯეროვნად ვერ წარმართავს თავის რწმუნებულთა საქმიანობას, ისეთ ადგილებშიც კი, სადაც მას საკუთარ მუშაკთა მთელი აპარატი ჰყავს, მაგალითად, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში.

სადირექტივო ორგანოების მიერ საწარმოების, უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის მიცემული ჯართის შეგროვების სახელმწიფო გეგმის გარდა „გლავვტორჩერმეტის“ რესპუბლიკურ სამმართველოს ეძლევა ჯართის დამზადების საკუთარი დავალებაც და ყველაზე მეტად საყურადღებო სწორედ ის არის, რომ მან გასული წლის ეს დავალება მხოლოდ 76,7 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად იმისა, რომ ჯართის დამზადების ახალი დამატებითი წყაროები გამოენახა, სამმართველოს ხელმძღვანელობა გართული იყო სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს „გლავვტორჩერმეტის“ მთავარ სამმართველოსთან უნაყოფო მიმოწერით — გეგმა შეგვიმცირეთო.

შარშან რომ შესრულდა ჯართის შეგროვების წლიური დავალება, ეს სამმართველოს ხელმძღვანელობის დამსახურება როდია. გეგმა განაღდებულ იქნა ძირითად ჯართჩამბარებელ რამდენიმე საწარმოს ხარჯზე. „გლავვტორჩერმეტს“ ისღა რჩება, რომ დროზე მიაწოდოს ლითონი მეტალურგიულ ქარხნებს.

როგორ არის ამ მხრივ საქმე?

...უფროსი გაზეთს ათვალიერებს. ხანდახან იცის თვალის გადავლება, მოკლე ცნობების ამოკითხვა (დიდი წერილები მეტ ჯაფას მოითხოვს). და აი, როცა გაიგო, რომ რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ფოლადის გამოდნობის გასული წლის დავალება ვერ გაანაღდა, წარბიც არ შეუხრია, თითქოს მას სრულიადაც არ შეეხებოდა რომ „მისდამი რწმუნებულმა“ დაწესებულებამ რუსთავის მეტალურგებს 2.186 ტონა ჯართი დააკლო.

საქმეს ხელმძღვანელობა უნდა უნარიანი, მოქნილი, ადგილზე მომუშავეებს — დახმარება, მითითებები. ჩვეულებრივ ამისათვის წარმომადგენლებს ადგილებზე მიავლინებენ ხოლმე. „გლავვტორჩერმეტის“ სამმართველოშიც აქვთ ასეთი პრაქტიკა, მაგრამ მივლინებები ძირითადად რამდენიმე თანამშრომლის ზურგზე გადადის.

— მაგრამ უფროსი? — ინტერესით იკითხავს მკითხველი. რა, უფროსი? მას სად სცალია იმისათვის, რომ რაიონებში იაროს?

უთუოდ შევცოდავთ, თუ ვიტყვით, ვიქტორ დიმიტრიჩი მივლინებებში სრულიად არ დადის. დადის, როგორ არა! ოღონდ რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ, მხოლოდ მოსკოვში. ჩავა, მოინახულებს ნაცნობ-მეგობრებს, დროს გაატარებს, თვალს წყალს დაალევინებს, რაც შეეხება საქართველოს დამამზადებელ პუნქტებს, მათ სამმართველოს სხვა პასუხისმგებელი მუშაკებიც ეყოფათ. მთელი შარშანდელი წელი ისე გავიდა რომ რესპუბლიკის არც ერთ პუნქტში არ ჩასულა სამმართველოს უფროსი.

— წელს?

— ეგ რა სათქმელია, გუშინ არ დადგა ახალი წელი?

შეიძლება შორს წავედით, შარშანდელი ამბები რომ მოვაგონეთ, არ უყვარს წარსულის გახსენება კვიტაშვილს, ეს ისტორია გონებას ღლის, აზრს ძაბავს, ზოგჯერ კი არასასიამოვნო ამბებსაც წამოატივტივებს ზედაპირზე და რა საჭიროა ძველის გახსენება. მაშინ ვეცდებით უახლეს ფაქტებს მივმართოთ, მაგრამ ვაი თუ არც ამან მოჰგვაროს სიამოვნება სამმართველოს უფროსს.

აი ახალი ფაქტებიც: გუშინ, დღის ბოლოსათვის შეაჯამეს იანვრის მუშაობის შედეგები. სურათი მეტად სავალალოა, სამმართველომ კვლავ ჩაფუშა გეგმების შესრულება. მოკლედ ვიტყვით: ჯართის დამზადების დავალება იანვარში შესრულებულია 79 პროცენტით, გაგზავნისა — 85,4 პროცენტით, რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის მიწოდებისა — 66,6 პროცენტით.

„გლავვტორჩერმეტის“ მუშაკები სხვებს უნდა უწევდნენ აგიტაციას ლითონის ჯართის შეგროვების მნიშვნელობაზე. სამწუხაროა, რომ ჩვენ გვიხდება მოვაგონოთ მათ, თუ რა განძია ჯართი, რომ იგი მარტო ლითონის ნამტვრევები, გაცვეთილი მანქანები როდია. იგი ხვალინდელი ტრაქტორები, კომბაინები, ლითონსაჭრელი მანქანებია, ფართო მოხმარების საგნებია, რომლებსაც ელოდებიან საბჭოთა ადამიანები.

გვგონია, რომ მალე დაირღვევა ჭაობისებური მყუდროება თბილისის კლარა ცეტკინის ქუჩაზე მდებარე ერთსართულიან შენობაში. ეს იქნება საქმისათვის ყველაზე მეტად საჭირო და სასარგებლო დასასრული.

ს. ხარაზიშვილი,
შ. ცირეკიძე.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი

ბერლინი, 3 თებერვალი. (საქტაგის სპეც. კორ.). ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების დღევანდელ სხდომას თავმჯდომარეობდა ჟორჟ ბიდო. გრძელდებოდა განხილვა დღის წესრიგის მეორე პუნქტისა — „გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები“.

სიტყვა პირველმა აიღო ვ. მ. მოლოტოვმა.

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა

დღეს ჩვენ კიდევ უნდა დავუთმოთ ერთგვარი ყურადღება იმ საკითხს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ევროპის უშიშროების პრობლემასთან. საჭიროა გავარკვიოთ საკითხი ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შესახებ, რომელსაც ოფიციალურად უწოდებენ „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებას“.

რომ ეს არც ისე უბრალო საკითხია, ამას მოწმობს მრავალი ფაქტი. შემთხვევითი როდია, რომ მაგალითად, საფრანგეთისა და იტალიის პარლამენტები ესოდენ სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებენ ამას და არ ჩქარობენ გადაწყვეტილების მიღებას. საჭიროდ არ მიმაჩნია შევეხო იმ შემთხვევებს, როცა აჩქარდნენ ამ საკითხზე კენჭისყრაში.

ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჯეროვან ყურადღებას არ მივაქცევთ სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების საკითხს.

ჩემს პირველ განცხადებაში გერმანიის საკითხზე მე უკვე ვილაპარაკე იმაზე, რომ ბ-ნი იდენის მიერ წარმოდგენილი პროექტი სრულიად გერმანიის არჩევნების შესახებ არ უზრუნველყოფს გერმანელი ხალხის ნამდვილ თავისუფლებას როგორც არჩევნების მომზადებისას, ისე აგრეთვე არჩევნების დროს. ამიტომ ეს წინადადება არ სახავს დემოკრატიული გერმანიის მშვიდობიანი გზით თავისუფალი განვითარების გზას.

საკმარისია მოვაგონოთ, რომ ბონის შეთანხმებით დასავლეთის სამ სახელმწიფოს ათეულ წლობით ენიჭება უფლება ყოველ დროს ჩაერიონ დასავლეთ გერმანიის საშინაო საქმეებში და საგანგებო წესებიც კი გამოაცხადონ, როცა ისინი ამას მოისურვებენ. მარტო ეს მოწმობს, რომ, ხელი მოაწერა რა ბონის შეთანხმებას, დასავლეთ გერმანიას აღარ შეუძლია თავისუფლება ჰქონდეს თავის საშინაო საქმეებში.

შენიშვნას, რომელიც მე გავაკეთე ამ საკითხზე, ჯერჯერობით აქ არავინ გამოეხმაურა.

ზოგჯერ ამბობენ, რომ ბონისა და პარიზის ვალდებულებანი ძალაში დარჩება მხოლოდ საზავო ხელშეკრულების ხელმოწერამდე. მაგრამ, თუ ეს ასეა, რატომ უნდათ ბონისა და პარიზის შეთანხმებანი დადონ 50 წლით? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ დასავლეთის სახელმწიფოების დაპირებებს, რომ დააჩქარებენ საზავო ხელშეკრულების დადებას, სერიოზული მნიშვნელობა არ ეძლევა, რამდენადაც სინამდვილეში მიაჩნიათ, რომ გერმანელებმა ათეული წლების განმავლობაში უნდა უცადონ საზავო ხელშეკრულების დადებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ, პარიზისა და ბონის შეთანხმებათა პირობებით, დასავლეთი გერმანია არ იქნება თავისუფალი აგრეთვე თავის საგარეო საქმეებში. უფრო მეტიც. გათვალისწინებულია, რომ ბონისა და პარიზის შეთანხმებათა ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის პროექტები, რომლებიც სეპარატული წესით მომზადდა და რომელთა მომზადებაში საბჭოთა კავშირს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, გავრცელდეს მთელ გერმანიაზე, გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილზეც. მაგრამ ეს იქნებოდა აღმოსავლეთ გერმანიის ჩაბმა ისეთ შეთანხმებებში, რომლებიც, ჯერ-ერთი, შეუთავსებელია ევროპის უშიშროების უზრუნველყოფასთან და, მეორე, აშკარად ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის ინტერესებს, შეუთავსებელია მისი თავისუფლების აღიარებასთან.

ბ-ნი იდენი და ბ-ნი ბიდო აქ აცხადებდნენ, რომ გაერთიანებული გერმანია, ბონისა და პარიზის შეთანხმებათა პირობების მიხედვით, თითქოს შებოჭილი არ იქნება ამ შეთანხმებებით და შეეძლება თავისუფლად გადაწყვიტოს საკითხი — იკისროს თუ არა ესა თუ ის ვალდებულება, მათ შორის საკითხი, შევიდეს თუ არა „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“. როცა ამაზე ლაპარაკობდა, ბ-ნმა ბიდომ განაცხადა: „საფრანგეთი გერმანიის გაერთიანებისათვის პირობად არ მოითხოვს მის მთლიანად შესვლას „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“.

მაგრამ ასეა კი ეს?

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვაზე, მივმართოთ ბონის შეთანხმების ტექსტს.

ამ შეთანხმების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ამბობს:

„სამი სახელმწიფო (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი) და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა იმოქმედებენ ერთობლივად, რათა მშვიდობიანი საშუალებებით განახორციელონ თავიანთი საერთო მიზნები: შექმნან გაერთიანებული გერმანია, რომელსაც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მსგავსად ექნება თავისუფალი დემოკრატიული კონსტიტუცია და შეყვანილ იქნება „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“.

მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფო, ისევე როგორც დასავლეთი გერმანია, ბონის შეთანხმებით კისრულობს ვალდებულებას „ერთობლივად იმოქმედონ“, რათა უზრუნველყონ ისეთი მდგომარეობა, როცა გაერთიანებული გერმანია „შეყვანილ იქნება „ევროპის გაერთიანებაში“. მაშასადამე, ბონის შეთანხმების მიზანია წინასწარ გადაწყვიტოს, რომ დასავლეთის სამმა სახელმწიფომ და თვით დასავლეთმა გერმანიამ საერთო მეცადინეობით შეიყვანონ გაერთიანებული გერმანია ამ „გაერთიანებაში“, ევროპის არმიაში.

რათა ცხადყონ, რომ ამ საკითხში არ შეიძლება არავითარი უკანდახევა, ბონის შეთანხმების ამ მუხლში არის კიდევ მესამე პუნქტი, სადაც აღნიშნულია:

„თუ არ იქნა ყველა ხელმომწერი სახელმწიფოს საერთო თანხმობა, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა არ დადებს არავითარ შეთანხმებას და არ მიიღებს მონაწილეობას არავითარ გარიგებაში, რომლებიც შეასუსტებდნენ სამი სახელმწიფოს უფლებებს, რომელნიც აღნიშნული ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობენ, ან შეამცირებდნენ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ვალდებულებებს, რომლებიც ნაკისრია ამ ხელშეკრულებებით.“

აქედან ჩანს, რომ ბონის მთავრობა შებოჭილი იქნება ვალდებულებით — არ დათანხმდეს გერმანიის არავითარ გაერთიანებაზე, რომელიც არ ითვალისწინებს გაერთიანებული გერმანიის შეყვანას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ სისტემაში, ე. ი. ევროპის არმიაში.

სად არის აქ ამჟამად გათიშული გერმანიის გაერთიანების გზების არჩევის ნამდვილი თავისუფლება? განა შეიძლება ასეთ პირობებში ვილაპარაკოთ ნამდვილად თავისუფალ გერმანიის სახელმწიფოზე მაშინაც კი, როცა მოხდება ნაწილების. გაერთიანება ერთიან გერმანიად?

ამის თქმა არამც და არამც არ შეიძლება. ბონის შეთანხმების მიზანია ახლავე, ესე იგი წინასწარ, შეუბორკოს ხელფეხი გაერთიანებულ გერმანიას. თუ ძალაში რჩება ბონის შეთანხმება, თვით გერმანიის გაერთიანება შესაძლებელი ხდება მხოლოდ ერთი პირობით — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთ გერმანია იმოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად იმ მხრივ, რომ გაერთიანებული გერმანია შეიყვანონ „ევროპის გაერთიანებაში“, რომლის მახვილიც მიმართულია სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ. მაგრამ აქედან გამოდის, რომ ბონის შეთანხმების ავტორებს ფაქტიურად არა სურთ გერმანიის გაერთიანება, შეუძლებელს ხდიან ასეთ გაერთიანებას.

დასავლეთ გერმანიის გერმანელი ხელისუფალნი, რომელთაც ხელი მოაწერეს ბონის შეთანხმებას, თავისუფალნი არ არიან თავიანთ მოქმედებაში. ისინი თავისუფალი არ არიან უკვე ამ სტადიაზე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სრულიად გერმანიის არჩევნების მომზადების პერიოდი. აქედან ისიც გამოდის, რომ ვალდებულებანი, რომლებიც დასავლეთმა გერმანიამ იკისრა ბონისა და პარიზის შეთანხმებებით, შეუთავსებელია სრულიად გერმანიის ნამდვილად თავისუფალ არჩევნებთან და შეუთავსებელია გაერთიანებული გერმანიის ნამდვილი თავისუფლების აღიარებასთან.

აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის 1952 წლის 27 მაისის სამმხრივი დეკლარაცია, რომელიც გამოქვეყნდა პარიზის შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით.

ამ დეკლარაციაში ცალკეა ლაპარაკი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოზიციაზე, რომლებსაც თვითონ არა სურთ თავიანთი ჯარებით მიიღონ მონაწილეობა ევროპის არმიაში, მაგრამ სურთ ბებიაქალის როლი შეასრულონ მისი დაბადების დროს. ამ დეკლარაციაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოზიციის შესახებ ამ საკითხში ასეა ნათქვამი:

„თუ რაიმე მოქმედება, საიდანაც უნდა იყოს იგი, საფრთხეს შეუქმნის ევროპის გაერთიანების მთლიანობას ან ერთიანობას, ეს ორი მთავრობა (ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი) ამ მოქმედებას მიიჩნევს საკუთარი უშიშროების საფრთხედ და იმოქმედებს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად“.

მაშასადამე, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, არ შედიან რა, „გაერთიანებაში“, ე. ი. ევროპის არმიაში წინასწარ აცხადებენ, რომ დასავლეთ გერმანიის შესვლა ამ „გაერთიანებაში“ იმის მომასწავებელი იქნება, რომ მას აღარ დარჩება უკან გამოსაბრუნებელი გზა, რომ დასავლეთი გერმანია ამის შემდეგ ველარ შეძლებს თავისუფლად გადაწყვიტოს — დარჩეს თუ არა ამ „გაერთიანებაში“.

1952 წლის 27 მაისის დეკლარაციის მოყვანილი ამონაწერები ცხადყოფენ, რომ „გაერთიანებიდან“ გამოსვლის შესაძლო ცდებს ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი მიიჩნევენ თავიანთი უშიშროების საფრთხედ და წინასწარ იძლევიან გაფრთხილებას, რომ ისინი იმოქმედებენ „ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სათანადო შემთხვევაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შეუძლიათ გამოაცხადონ, „სამშობლო საფრთხეშიაო“, ხოლო ამის შედეგები ყველა ჩვენგანისათვის გასაგებია.

განა სამი სახელმწიფოს ეს დეკლარაცია ჰგავს იმას, რომ გერმანიას თავისუფალი არჩევანის უფლება ენიჭება საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის დროს? ძნელი მისახვედრი არ არის, რომ გერმანიის ნამდვილი თავისუფლებისაგან აღარაფერი რჩება.

სამი სახელმწიფოს ამ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს „მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი“ ევროპაში იყოლიონ თავიანთი ჯარები სათანადოდ მომზადებული იმ შემთხვევისათვის, თუ ვინმე დაეჭვდება, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას ევროპის თავდაცვითი გაერთიანება, ე. ი. რომ საჭიროა ევროპის არმია. ამის შესაბამისად დეკლარაციაში საკმაოდ უბოდიშოდ არის ნათქვამი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს „ეყოლებათ ევროპის კონტინენტზე, კერძოდ, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ის ძალები (ე. ი. ჯარები), რომლებსაც ისინი, გაითვალისწინებენ რა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავიანთ ვალდებულებებს, თავიანთ დაინტერესებას ევროპის თავდაცვითი გაერთიანების მთლიანობით და თავიანთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გერმანიის მიმართ, საჭიროდ და შესაფერისად მიიჩნევენ, რათა ხელი შეუწყონ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ზონის საერთო თავდაცვას“. აქედან გამოდის — დასავლეთმა გერმანიამ კიდევაც რომ სცადოს გამოვიდეს ევროპის თავდაცვითი გაერთიანებიდან, სამი სახელმწიფო ხელს შეუშლის ამას ყოველი საშუალებით, შეიარაღებული ძალის გამოყენების მუქარითაც კი.

ყოველივე ნათქვამი მოწმობს, რომ ბ-ნ იდენისა და ბ-ნ ბიდოს განცხადებანი, თითქოს გერმანიას „თავისუფალი არჩევანი“ ენიჭებოდეს იმ საკითხში, იყოს თუ არა ერთიანი გერმანიის სახელმწიფო ევროპის თავდაცვითი გაერთიანების წევრი, სინამდვილეს არ შეესაბამება. ეს განცხადებანი ეწინააღმდეგებიან იმ ვალდებულებებს, რომლებსაც დასავლეთ გერმანიას თავს ახვევენ ბონისა და პარიზის შეთანხმებებით.

შესაძლოა ბ-ნმა დალესმა ამიტომ შეიკავა თავი განცხადებებისაგან, რომლებიც, როგორც ჩანს, შეუძლებელია დასაბუთებულ იქნას ფაქტებით, დოკუმენტებით.

გერმანიის საკითხთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა გუშინ ილაპარაკა ჩემს ერთ განცხადებაზე, რომელიც 1939 წლის შემოდგომაზე გავაკეთე. მაგრამ მას არ უთქვამს, თუ რა საერთაშორისო პირობებში იყო ეს.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ 1939 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში საბჭოთა მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან, უნდოდა მიეღწია შეთანხმებისათვის, რათა თავიდან აეცილებინათ ომი, თავიდან აეცილებინათ ჰიტლერის აგრესია.

ყველამ იცის, რომ მაშინ ინგლის-საფრანგეთის წრეების ყველაზე ძლიერი წარმომადგენელი იყო ცნობილი ნევილ ჩემბერლენი. მას მხარს უჭერდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ჩემბერლენის პოლიტიკის მიზანი იყო წაექეზებინა ჰიტლერი სსრ კავშირზე თავდასასხმელად. მაშინ ეს არ მოხერხდა. მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ჩემბერლენმა და მისმა ფრანგმა კოლეგებმა არ მოისურვეს სსრ კავშირთან არავითარი შეთანხმება, რომელიც ხელფეხს შეუკრავდა ჰიტლერს. ამით მათ ხელი შეუწყეს ჰიტლერის თავდასხმას პოლონეთზე და ამრიგად ნაწილობრივ მათ მიუძღვით დანაშაული 1939 წელს ომის გაჩაღებაში.

თუ ვინმეს სურს გაიცნოს მაშინდელი დროის საერთაშორისო მდგომარეობის ფაქტები, ამისათვის შეიძლება ვურჩიოთ საგულისხმო ისტორიული ცნობა, რომელიც მოსკოვში გამოიცა 1948 წელს სახელწოდებით: „ისტორიის ფალსიფიკატორები“.

ბ-ნი დალესი ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს დასავლეთ გერმანიის ხელისუფლები ავტორიტეტიანი იყვნენ. მაგრამ იგი არ ცნობს აღმოსავლეთ გერმანიის ხელისუფალთა ავტორიტეტიანობას. ჩემი შეხედულებით, იგი ამ შემთხვევაში სერიოზულად ცდება, რადგან ცალმხრივი, არაობიექტური ინფორმაცია აქვს.

რატომ არ შევამოწმოთ, თუ როგორია საქმის ნამდვილი ვითარება?

კარგად არის ცნობილი, რომ დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი ბონისა და პარიზის შეთანხმებათა მომხრენი არიან და არ ეჩქარებათ საზავო ხელშეკრულება. ამასთანავე ვიცით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმის მომხრეა, რომ რაც შეიძლება მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება და ბონისა და პარიზის შეთანხმებათა უთუო მოწინააღმდეგეა.

იქნებ საჭიროა მოეწყოს მთელი ხალხის გამოკითხვა-რეფერენდუმი მთელ გერმანიაში, რათა შევიტყოთ, რას უჭერს მხარს გერმანელი ხალხი: ბონისა და პარიზის შეთანხმებებს, თუ საზავო ხელშეკრულებას? მაშინ ყველას ექნებოდა გარკვეული პასუხი კითხვაზე, თუ ვინ არის დღეს გერმანელი ხალხის მისწრაფების ნამდვილი გამომხატველი.

* * *

მას შემდეგ, რაც ვ. მ. მოლოტოვმა სიტყვა დაამთავრა, სიტყვა აიღო დალესმა. მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ შეძლო მოესმინა მოლოტოვის შენიშვნები საკითხის თვით არსის შესახებ. დალესმა აღიარა, რომ დადგა დრო აღმოიფხვრას გერმანიის არსებული გაყოფა, რომელიც აღარ შეიძლება გაგრძელდეს, რადგან ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის სხვა სახელმწიფოებს. მან კვლავ მოითხოვა, რომ გერმანია უნდა გახდეს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ წევრი. ჩვენ არ ვმალავთ იმ ფაქტს, თქვა მან, რომ იმედი გვაქვს გერმანიას შესაძლებლობა მიეცემა ამ გაერთიანების წევრი გახდეს. ამასთან ერთად დალესმა განაცხადა, რომ იგი იმის მომხრეა, რომ გაერთიანებულ გერმანიას მიენიჭოს თავისუფლება იმის არჩევაშიც, შევიდეს თუ არა „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“. „მე ამაზე არაფერი ვთქვი აქამდე მხოლოდ იმიტომ, — განაცხადა დალესმა, — რომ ვფიქრობ ბ-ნმა ბიდომ და ბ-ნმა იდენმა ხაზგასმით აღნიშნეს ეს თავიანთ გამოსვლებში“.

დალესი ამტკიცებდა, თითქოს იდენის გეგმა ითვალისწინებდეს, რომ გერმანიას მიენიჭოს თავისუფალი არჩევანი იმ საკითხში, მონაწილეობდეს თუ არა „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“. მან განაცხადა, რომ, თუ იდენის გეგმის შესაბამის პუნქტებში საკმაოდ ნათლად არ არის ხაზგასმული ეს საკითხი, ამ პუნქტებში შეიძლება შეტანილ იქნას საჭირო რედაქციული შესწორებანი.

ამრიგად, დალესი ცდილობდა საქმე ისე დაეხატა, თითქოს ყველაფერი ამოიწურებოდეს იდენის გეგმის რედაქციული ნაკლოვანებებით. ამავე დროს, ეს გეგმა, როგორც ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, ვერ უზრუნველყოფს გერმანელი ხალხის ნამდვილ თავისუფლებას ვერც საშინაო და ვერც საგარეო საქმეებში, რამდენადაც იგი ითვალისწინებს იმას, რომ მთელ გერმანიაზე გავრცელდეს პარიზისა და ბონის შეთანხმებანი, რომელთა გამო გერმანია 50 წლიწადს უნდა იქნეს ნახევრადოკუპირებული ქვეყანა, რომელიც მოკლებული იქნება ნამდვილ სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს.

თუმცაღა, დალესიც კი იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ საკითხი, რომელსაც შეეხო ვ. მ. მოლოტოვი, შეუძლებელია გადაწყდეს იდენის გეგმის ტექსტის უბრალო განმარტებით.

შემდეგ გამოვიდა ბიდო. მან განაცხადა, რომ სურს რამდენიმე შენიშვნა გააკეთოს იმის გამო, თუ როგორ განმარტა ვ. მ. მოლოტოვმა ბონისა და პარიზის შეთანხმებათა მუხლები და 1952 წლის 27 მაისის დეკლარაცია. ამასთან ბიდომ თვითონვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი შენიშვნები ახალი როდი იქნება.

მართლაც, ბიდომ გაიმეორა, რომ ბონის შეთანხმება ძალაში რჩება მხოლოდ მანამდე, სანამ დაიდებოდეს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. როგორც კი საზავო ხელშეკრულება დაიდება, ბონის შეთანხმება ძალას დაკარგავსო განაცხადა ბიდომ.

რაც შეეხება პარიზის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნას, ბიდო განაგრძობდა მტკიცებას, რომ გაერთიანებული გერმანია შებოჭილი არ იქნება ამ შეთანხმებით და შეძლებს იმოქმედოს საკუთარ შეხედულებათა შესაბამისად.

ბიდო შეეხო აგრეთვე ბონის შეთანხმების მე-7 მუხლს, რომელიც პირწმინდად აბათილებს მის მტკიცებას, რამდენადაც ამ მუხლიდან ჩანს, რომ ბონის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს არ დათანხმდეს გერმანიის არავითარ გაერთიანებაზე, რომელიც არ ითვალისწინებს გაერთიანებული გერმანიის შეყვანას „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“. რადგან ვერ შეძლო გაებათილებინა ბონის შეთანხმების აღნიშნული მუხლის გარკვეული აზრი, ბიდომ მიმართა წმინდა დეკლარაციულ და სრულიად დაუსაბუთებელ მტკიცებას, რომ ეს მუხლი თითქოს სავალდებულოა მხოლოდ დასავლეთ გერმანიისათვის და არავითარ ვალდებულებას არ დააკისრებს გაერთიანებული გერმანიის მთავრობას. ამასთანავე ბიდომ განაცხადა, რომ ყველა იმ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბონისა და პარიზის შეთანხმებებს, მათ შორის ბონის მთავრობასაც, საერთოდ განზრახული აქვთ შეიყვანონ გერმანია დასავლეთ სახელმწიფოთა ბლოკში.

შემდეგ ბიდო შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის 1952 წლის 27 მაისის სამმხრივ დეკლარაციას, რომელიც გამოქვეყნდა პარიზის შეთანხმებაზე

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი

(დასასრული)

ხელმოწერასთან დაკავშირებით. ეს დეკლარაცია, როგორც ცხადყო ვ. მ. მოლოტოვმა თავის გამოსვლაში, საშუალებას უსპობს დასავლეთ გერმანიას გამოვიდეს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანებიდან", რამდენადაც დასავლეთის სამი სახელმწიფო ხელს შეუშლიდა ამას ყოველი საშუალებით, მათ შორის შეიარაღებული ძალის გამოყენების მუქარითაც. ბიდო თავის გამოსვლაში ამტკიცებდა, თითქოს სამი სახელმწიფოს 1952 წლის 27 მაისის დეკლარაცია „არა სავსებით ზუსტად" განმარტა ვ. მ. მოლოტოვმა თავის გამოსვლაში. მაგრამ, მან მაინც ვერ შეძლო გაებათილებინა ის ფაქტი, რომ აღნიშნული დეკლარაციით, ისევე როგორც ბონისა და პარიზის შეთანხმებებით, გერმანიას ესპობა ყოველგვარი თავისუფლება თავისი საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის დროს და ვერ შეძლებს ისარგებლოს იმ თავისუფალი არჩევანით — „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შემადგენლობაში შესვლის თუ არ შესვლის საკითხში, რომელზეც ბიდო და იდენი ლაპარაკობდნენ.

დასასრულ ბიდო შეეხო ვ. მ. მოლოტოვის მიერ დასმულ საკითხს, „იქნებ საჭიროა მოეწყოს მთელი ხალხის გამოკითხვა — რეფერენდუმი, მთელ გერმანიაში, რათა შევიტყოთ, რას უჭერს მხარს გერმანელი ხალხი: ბონისა და პარიზის შეთანხმებებს, თუ საზავო ხელშეკრულებას?". ამტკიცებდა რა, რომ ასეთი რეფერენდუმის მოწყობა მთელ რიგ სიძნელეებს წააწყდებოდა, ბიდომ ამით ცხადყო, რომ იგი ვერ ბედავს გამოიტანოს თვით გერმანელი ხალხის სამსჯავროზე ბონისა და პარიზის შეთანხმებათა საკითხი და ის, შეეფერება თუ არა ეს შეთანხმებანი გერმანელი ხალხის ინტერესებს.

ბიდოს შემდეგ გამოვიდა იდენი, რომელიც დასჯერდა მოკლე განცხადებას, რომ ეთანხმება დალესისა და ბიდოს შენიშვნებს, რომლებიც მათ დღევანდელ სხდომაზე გააკეთეს იმ საკითხზე, ზღუდავენ თუ არა ბონისა და პარიზის შეთანხმებანი მომავალი სრულიად გერმანიის მთავრობის მოქმედების თავისუფლებას. მე ვეთანხმები აგრეთვე ბ-ნ ბიდოს იმაში, რომ სასურველი არ არის შევეცადოთ ამ საკითხთა გადაწყვეტას რეფერენდუმის გზით, — თქვა იდენმა.

შემდეგ იდენმა განაცხადა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია დისკუსია უმთავრესად წარმოებდეს „გერმანიის გაერთიანების" გეგმაზე, რომელიც მან წარადგინა და რომელიც, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს ხუთ „სტადიას". იდენმა კვლავ ჩამოაყალიბა თავისი გეგმის ხუთივე სტადია და განაცხადა, რომ მზად არის პასუხი გასცეს შეკითხვებზე, რომლებიც ამ გეგმას შეეხება.

შემდეგ სიტყვა მიიღო ვ. მ. მოლოტოვმა. მან აღნიშნა, რომ დალესმა, ბიდომ და იდენმა თავიანთ შენიშვნებში გვერდი აუარეს იმ ფაქტებსა და დოკუმენტებს, რომლებიც მის დღევანდელ გამოსვლაში იყო მოყვანილი. მოლოტოვმა კვლავ გაიმეორა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შეეხება იმ ვალდებულებათა ნამდვილ აზრს, რომლებსაც ბონისა და პარიზის შეთანხმებანი აკისრებენ მომავალ გაერთიანებულ გერმანიას. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ბიდოს განცხადებას, ბონის შეთანხმება იმოქმედებს მხოლოდ მანამდე, სანამ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება დაიდებოდესო, ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ როგორც პარიზის, ისე მასთან დაკავშირებული ბონის შეთანხმება ითვალისწინებს ამ შეთანხმებათა მოქმედების ვადას 50 წლის განმავლობაში.

შემდეგ მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპის არმიის შექმნის შესახებ პარიზის შეთანხმების დადება მოასწავებს საზავო ხელშეკრულების ჩაშლას და შეუძლებელს გახდის გერმანიის გაერთიანებას.

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლის შემდეგ კვლავ აიღო სიტყვა დალესმა. მან ილაპარაკა მოლოტოვის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ თუ სრულიად გერმანიის არჩევნები მოეწყო იდენის გეგმის საფუძველზე, გერმანიის სახელმწიფო აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, როცა იგი თავისუფალი არ იქნება თავისი საშინაო და საგარეო საქმეების გადაწყვეტის დროს. დალესმა განაცხადა, რომ მას სურს დაუთმოს საბჭოთა დელეგაციას და შეაქვს შესწორება იდენის გეგმის მეოთხე პუნქტისათვის, რომელშიც ნათქვამია, რომ „სრულიად გერმანიის მთავრობას რწმუნება ექნება აიღოს ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის საბჭოთა ზონის საერთაშორისო უფლებები და ვალდებულებები, აგრეთვე დადოს სხვა ისეთი საერთაშორისო შეთანხმებანი, როგორსაც იგი მოისურვებს". დალესმა თქვა, რომ მას წინადადება შეაქვს სიტყვებს „რწმუნება ექნება აიღოს" დაემატოს სიტყვები: „ან უარყოს".

მოლოტოვმა ჰკითხა დალესს, იდენის გეგმის ამ შესწორებასთან დაკავშირებით გადაიდება თუ არა პარიზის შეთანხმების დადება, რომელშიც გათვალისწინებულია, რომ იგი იმოქმედებს 50 წლის განმავლობაში?

თავი აარიდა რა პასუხს, დალესმა თქვა, რომ შეთანხმების მოქმედების ვადას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან გერმანიის ახალ მთავრობას შეუძლია ან მიიღოს, ან უარყოს თვით შეთანხმება.

ბიდომ გაიზიარა დალესის აზრი და წინადადება შეიტანა ვ. მ. მოლოტოვის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა გადაიდოს ხვალისათვის.

შემდეგ სიტყვა აიღო იდენმა. მან კვლავ გაიმეორა, რომ გაერთიანებული გერმანია ვალდებული არ იქნება შევიდეს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შემადგენლობაში, თუ იგი ამას არ მოისურვებს, და განაცხადა, რომ იგი ეთანხმება დალესის შესწორებას ინგლისის გეგმის მეოთხე პუნქტისათვის.

ვ. მ. მოლოტოვმა, რომელიც სხდომის ბოლოს გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას, როგორც მას ეს არაერთხელ განუცხადებია, „ევროპის არმიის" შექმნის შესახებ პარიზის შეთანხმება მიაჩნია შეთანხმებად იმის შესახებ, რომ შეიქმნას დასავლეთის ექვსი სახელმწიფოს სამხედრო დაჯგუფება, რომელიც მიმართულია ევროპის სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლის შემდეგ სხდომა დაიხურა.

ვარშავის მშრომელთა საჩუქარი სტალინგრადის მშრომელებს

ვარშავა, 3 თებერვალი. (საკდესი). სტალინგრადთან გმირი საბჭოთა არმიის მიერ ჰიტლერელთა ჯარების განადგურების მე-11 წლისთავზე გუშინ სსრ კავშირის ვარშავის საელჩოში საზეიმო ვითარებაში გადაეცა სტალინგრადის მუზეუმს საჩუქარი — მაკეტი პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის იარაღის ძმობის ობელისკისა, რომელიც 1946 წელს აგეს ვარშავის მშრომელებმა.

ქალაქ ვარშავის საჩუქარი საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებს გადასცა დელეგაციამ, რომელსაც ვარშავის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ეჟი ალბრეხტი მეთაურობდა.

გადასცა რა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის იარაღის ძმობის ობელისკის მარმარილოსა და ბრინჯაოს მაკეტი, ვარშავის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ეჟი ალბრეხტმა აღნიშნა სტალინგრადთან საბჭოთა იარაღის გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა და გამოთქვა ვარშავის მშრომელთა უღრმესი მადლობა გმირი საბჭოთა არმიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, რომლებსაც პოლონელი ხალხი უნდა უმადლოდეს თავისუფლების მოპოვებას და თავის დიდ წარმატებებს პოლონეთისა და მისი დედაქალაქის აღდგენის საქმეში. ვარშავის მშრომელთა სახელით ეჟი ალბრეხტმა გულითადი სალამი გადასცა გმირი სტალინგრადის მცხოვრებლებს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ე. ბაბარინმა.

საბჭოთა გემი „აფშერონი" არგენტინაში

ბუენოს-აირესი, 3 თებერვალი. (საკდესი). ნავსადგურ ბუენოს-აირესს ეწვია საბჭოთა გემი „აფშერონი", რომელიც არგენტინაში ჩამოვიდა იმ საქონლის წასაღებად, რომელსაც არგენტინა საბჭოთა კავშირს აწვდის ამ ორი ქვეყნის მიერ ხელმოწერილი სავაჭრო შეთანხმების საფუძველზე.

ბუენოს-აირესში ჩამოსვლამდე გემი ტვირთის მისაღებად შევიდა არგენტინის უდიდეს ნავსადგურ როსარიოში. გემი „აფშერონი" პირველი საბჭოთა გემია, რომელიც ამ ნავსადგურს ეწვია. არგენტინის მოსახლეობამ გულითადი შეხვედრა გაუმართა საბჭოთა მეზღვაურებს.

საბჭოთა გემს როგორც როსარიოში, ისე ბუენოს-აირესში ეწვიენ სავაჭრო ფირმების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსახლეობის მრავალი ექსკურსია, სულ 8 ათასამდე კაცი.

დასავლეთ ევროპაში ძლიერ აცივდა

პარიზი, 3 თებერვალი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ძლიერ აცივდა. საფრანგეთში გუშინ დილით პირენეებში ტემპერატურამ 30 გრადუსამდე დაიწია ნულს ქვევით. მონლუსონში (ცენტრალური საფრანგეთი) თერმომეტრი 20 გრადუს ყინვას უჩვენებდა. მდინარე შერი მთელ სიგრძეზე ყინულით არის დაფარული. გაიყინა სენის შუაწელიც. გუშინ საფრანგეთში აღინიშნა მოყინულობის გამო სიკვდილის მთელი რიგი შემთხვევები.

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გუშინ ტემპერატურა მინუს 14 გრადუსი იყო.

მდინარე შელდა თითქმის მთელ სიგრძეზე გაიყინა, და გემები მხოლოდ ანტვერპენამდე ადიან. საარის ქვანახშირის შახტებში ყინვის გამო დადგა ტუმბოები და მწყობრიდან გამოვიდა წყალსადენი სისტემა.

იტალიაში განუწყვეტლივ თოვს. ექსპრესი პესკარა — რომი ზვავის გამო გზაში გაჩერდა.

ტრიესტში გუშინ ქროდა ძლიერი ქარი „ბორა", რომელმაც მნიშვნელოვანი ნგრევა გამოიწვია. მცხოვრებთა შორის არიან დაჭრილნი.

ცივი ტალღა გავრცელდა პორტუგალიაშიც, სადაც ჩვეულებრივად თბილი ზამთარია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომა

ბერლინი, 3 თებერვალი. (საკდესი). დღეს ბერლინში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის მორიგი 43-ე სხდომა. სხდომას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები. დღევანდელი სხდომის დღის წესრიგი შეიცავს შემდეგ საკითხებს:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება გერმანიის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რომლებსაც ბერლინის თათბირი განიხილავს; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პირველი წაკითხვა: კანონი წვრილ და საშუალო გლეხთა მეურნეობების დავალიანებისაგან განთავისუფლების შესახებ საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში შესვლის დროს და სხვ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენება გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ფინანსთა მინისტრმა ჰ. ლოხმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება გერმანიის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხთა შესახებ, რომლებსაც განიხილავს ბერლინის თათბირი, სახალხო პალატის სხდომაზე გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა.

კრიზისული მოვლენები ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ამერიკის პრესამ გამოაქვეყნა ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს ცნობა, რომ სამრეწველო წარმოების ინდექსმა 1953 წლის დეკემბერში შეადგინა 127 (1947-1949 წლები აღებულია 100-ად), ე. ი. ორი პუნქტით ნაკლები იყო, ვიდრე ნოემბერში, და ათი პუნქტით ნაკლები, ვიდრე 1953 წლის ივლისში. მმართველთა საბჭოს ცნობაში აღნიშნულია, რომ იანვარში მოსალოდნელია შემდგომი შემცირება. სამრეწველო წარმოების დონის დაქვეითება, ნათქვამია ცნობაში, უმთავრესად იმან გამოიწვია, რომ შემცირდა წარმოება ფოლადსადნობ, მანქანათმშენებელ და საფეიქრო მრეწველობაში, ამასთან ფოლადსადნობი მრეწველობის წარმოების დონე იანვარშიც დაბალია.

გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი" იუწყება, რომ ერთი კვირის განმავლობაში, რომელიც 30 იანვარს დამთავრდა, პროდუქციის გამოშვება საავტომობილო მრეწველობაში ორი პროცენტით შემცირდა წინა კვირასთან შედარებით.

ცნობაში აღნიშნულია, რომ საავტომობილო მრეწველობის საწარმოები კვლავ ამცირებენ წარმოებას. მაგალითად, კომპანია „გუძონ მოტორ კარ კომპანიმ" 1 თებერვალს ერთი კვირით შეწყვიტა ავტომობილების წარმოება დეტროიტში და დაითხოვა 4,5 ათასი მუშა. ამ კომპანიის საწარმოები უკანასკნელ ნახევარ თვეში მხოლოდ სამ დღეს მუშაობდნენ კვირაში. კომპანია „ნეში" გადავიდა ოთხდღიან სამუშაო კვირაზე და 20 პროცენტით შეამცირა პროდუქციის გამოშვება. გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელის" ცნობით, მეტალურგიული მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები იანვრის დამლევს მუშაობდნენ საწარმოო სიმძლავრეთა 70 პროცენტის, ხოლო ზოგიერთი საწარმო 50 პროცენტის დონეზე.

„უოლ-სტრიტ ჯორნელის" სარედაქციო სტატიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება საქმიანი აქტივობის დაქვეითება და, კერძოდ, მცირდება პროდუქციის გამოშვება საავტომობილო, ფოლადსადნობ, საფეიქრო და მრეწველობის სხვა დარგებში; მცირდება ტვირთზიდვის მოცულობა ტრანსპორტზე.

მთავრობის კრიზისი იტალიაში

იტალიის კომპარტიის სამდივნოს განცხადება

რომი, 3 თებერვალი. (საკდესი). გუშინ გაიმართა იტალიის კომპარტიის სამდივნოს სხდომა, მოწვეული პარტიის პოზიციის დასაზუსტებლად, რაც უნდა აცნობონ რესპუბლიკის პრეზიდენტს პარლამენტარმა კომუნისტებმა. სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ქრისტიან დემოკრატთა პარტიის ხელმძღვანელებს განზრახული აქვთ შექმნან ისეთი მთავრობა, რომელიც „შეუწყნარებლობასა და შეურიგებლობას გამოიჩენს იდეებისადმი". „ამ პარტიის ხელმძღვანელები, რომლებიც გაერთიანებული არიან ვიწრო ოლიგარქიულ ჯგუფად, — ნათქვამია კომუნიკეში, — სინამდვილეში უშუალო პასუხისმგებელნი არიან იმ პოლიტიკური კრიზისისათვის, რომელსაც განიცდის იტალია უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში.

ამ კრიზისის პირველი მიზეზი ის არის, რომ ისინი ხარბად ისწრაფვიან რადაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ ხელისუფლების მონოპოლია და უარყონ უშუალო კონტროლი სხვა პარტიების მხრივ...

იტალიას ახლა ესაჭიროება შინაგანი დაძაბულობის შენელება და თანხმობა, რომ ნამდვილ დემოკრატებს შეეძლოთ გაერთიანდნენ და ითანამშრომლონ, რათა გადაჭრან ისეთი სერიოზული პრობლემები, როგორიც არის სიღატაკე, უმუშევრობა და ეკონომიური უძრაობა. როგორც ყოველთვის წარსულში, ისე ამჟამადაც, კლერიკალური შეუწყნარებლობა ხელს უშლის პროგრესსა და მშვიდობას, და ერის ჯანსაღ ძალებს უნდა შეეძლოთ გაერთიანდნენ, რათა ებრძოლონ მას".

დიდი თოვლი იუგოსლავიაში

ბელგრადი, 3 თებერვალი. (საკდესი). იუწყება რა, რომ მთელ იუგოსლავიაში დიდი თოვლი მოვიდა, გაზეთი „ბორბა" წერს, რომ ზვავების შედეგად თითქმის სულ შეწყდა ყველა სახეობის ტრანსპორტის მუშაობა სერბიაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ჩერნოგორიაში, მაკედონიაში და ხორვატიისა და სლოვენიის ზოგიერთ რაიონში. ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში შეწყდა სატელეფონო კავშირი ყველა მთავარ ხაზზე. ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო ბელგრადისა და სერბიის ბევრმა საწარმომ მუშაობა შეწყვიტა ბელგრადში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. მეცადინეობა შეწყდა ყველა სკოლაში.

პოლონელ მეზღვაურთა კეთილშობილური მოქმედება

ვარშავა, 4 თებერვალი. (საკდესი). პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ბალტიის ზღვაში მყოფ პოლონეთის გემ „ოქსივეს" ეკიპაჟმა ძლიერი ქარიშხლის დროს გაიგონა გერმანელ მეთევზეთა კატერის სიგნალები. გემს დაზიანებული ჰქონდა ღილვი და დაღუპვა მოელოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქარიშხალი ძლიერდებოდა, გემმა „ოქსივემ" ხანგრძლივი მანევრების შემდეგ ბუქსირზე აიყვანა კატერი და ჩაიყვანა შვეციის ნავსადგურ ტრელებორგში.

„ოქსივეს" ეკიპაჟმა დიდი მამაცობა და გულადობა გამოიჩინა გერმანიის კატერის და მასზე მყოფ მეთევზეთა გადარჩენის დროს.

ჭადრაკი

სსრ კავშირის XXI ჩემპიონატი

კიევი, 2 თებერვალი. (საკდესი). მე-16 ტურში კორჩნოიმ მოუგო ნეჟმეტდინოვს, ავერბახმა — ილივიცკის, ბივშევმა — ფურმანს. რაგოზინი და ფლორი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ხოლმოვ-შამკოვიჩის, გელერ-სოკოლსკის შეხვედრები. ტაიმანოვ-ბორისენკოს, სუეტინ-ლივშინის, ლილიენტალ-პეტროსიანის, ლისიცინ-ბანიკის პარტიები გადაიდო.

კიევი, 3 თებერვალი. (საკდესი). მე-17 ტურში პირველი დამთავრდა ლივშინ-გელერის პარტია. ესპანურ პარტიაში შავებმა აირჩიეს ჩიგორინის შემუშავებული ვარიანტი. თეთრებმა სცადეს იერიში მიეტანათ მეფის ფლანგზე. ამას გელერმა ენერგიული კონტრშეტევით უპასუხა. გარდუვალი შამათის გამო ლივშინი 41-ე სვლაზე დანებდა.

შამკოვიჩ-ავერბახის პარტიაში ვერც ერთმა მოწინააღმდეგემ ვერ მოიპოვა უპირატესობა. 30-ე სვლაზე ისინი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბორისენკო-ბივშევის პარტია.

სუეტინმა მოუგო ილივიცკის, ტაიმანოვმა სოკოლსკის, ლილიენტალმა ფურმანს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ჩვიდმეტი ტურის შემდეგ წინ არის ავერბახი — 13 ქულა.

დღეს დამთავრდება გადადებული პარტიების გათამაშება.

თბილისის პირველობაზე

მეთორმეტე ტურში დამთავრდა მხოლოდ ექვსი პარტია. ბლაგიძემ მწვავე თამაში შესთავაზა მიქაელიანს. ტაქტიკურ ბრძოლაში ბლაგიძემ მიქაელიანს ტურნირში პირველი დამარცხება მიაყენა. გიორგაძე დამარცხდა კალატოზიშვილთან, ვეტოხინი — ღონღაძესთან, ხოლო ფრუიძე — მაჭავარიანთან.

არნშტეინ-ბუსლაევის და ციცერონოვ-ჯანოევის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. გურგენიძე-ჯაკობიას და ფხალაძე-ტიმოფეევის პარტიები გადადებულია.

თორმეტი ტურის შემდეგ წინ არიან ბ. გურგენიძე — 8 ქულა და ორი გადადებული პარტია, ე. მიქაელიანი — 8 ქულა, ა. ბლაგიძე — 7½ ქულა და ერთი გადადებული პარტია, ბუსლაევი — 7½ ქულა.

საქართველოს სოფლის მოთხილამურეთა შეჯიბრება

ბაკურიანი, 4 თებერვალი. (საქდესი). აქ დამთავრდა საქართველოს სოფლის მოთხილამურეთა პირად-გუნდური შეჯიბრება საზოგადოება „კოლმეურნის" პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ასპინძის, ონის, მესტიისა და ცაგერის რაიონების, აგრეთვე აფხაზეთის სპორტსმენებმა.

5 კილომეტრზე რბენაში პირად შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ბოგდანოვკელმა სპორტსმენმა მ. გორკოვამ, რომლის შედეგია 28 წუთი და 12 წამი. 10 კილომეტრზე რბენაში ნ. გავამ (ბორჯომი), რომლის დროა 55 წუთი და 39 წამი.

ვაჟთა შეჯიბრებაში 10 და 30 კილომეტრზე გაიმარჯვა ბორჯომელმა ნ. მიქაბერიძემ, რომელმაც უჩვენა შესაბამისად 43 წუთი და 32 წამი და 2 საათი, 17 წუთი და 10 წამი.

ქალთა ამანათრბენი 3×5 კილომეტრზე და ვაჟთა 4×5 კილომეტრზე მოიგო ბორჯომის გუნდმა. 45-მეტრიანი ტრამპლინით ხტომაში გაიმარჯვა ა. ადამიანცმა (ახალქალაქი), სლალომში გაიმარჯვეს ბორჯომელებმა გაგლოევამ და კოპტონაშვილმა.

გუნდური პირველობა მოიგეს ბორჯომის პირველი გუნდის მოთხილამურეებმა. მეორე გუნდური ადგილი დაიკავეს ბოგდანოვკის რაიონის მოთხილამურეებმა.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ლექცია. სემინარი

5 თებერვალს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში შედგება ლექცია მომხსენებლებისა და აგიტატორებისათვის თემაზე: „საბჭოთა კავშირის მოქალაქის უფლება და მოვალეობა". ლექტორი დოცენტი ე. ნეიძე.

ამავე დღეს საღამოს 8 საათზე აქვე მოეწყობა სემინარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის (სწავლების მე-2 წელი) თემაზე: „კომუნისტური პარტია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში. პარტიის XVII ყრილობა". სემინარის ხელმძღვანელია ამხ. ვ. მირიანაშვილი.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს პროგრამის მთლიანად გამოცვლა
საცირკო კოლექტივის და ატრაქციონ
„დათვების ცირკის"
გასტროლები
ვალენტინ ფილატოვის
ხელმძღვანელობით
დიდი საცირკო პროგრამა
3 განყოფილებად.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირაობით
დღის 2 საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.
ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 1, 24, პლეხანოვის პროსპ. № 97, ჩელუსკინელების ქ. № 31.
მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

მოქალაქე ვალენტინა ვლადიმერის ასულმა ქუახელმა, მცხოვრებმა ძერჟინსკის ქ. № 22, აღძრა საქმე ნიკოლაძის ქ. № 4 მცხოვრებ გრიგოლ ივანეს-ძე ყუბანეიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

„კინოპროკატის" საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე
ნახეთ ახალი მხატვრული ფილმი

(დრამატული სატირა მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინისა)

დადგმა ნ. აკიმოვისა და ნ. კოშევეროვასი, ოპერატორები მ. მაგიდი და ლ. სოკოლსკი,
მხატვრები ნ. აკიმოვი, ბ. მანევიჩი, კომპოზიტორი დ. ტოლსტოი,
ხმის ოპერატორი ი. ვოლკი.
„ლენფილმის" ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ნაწარმოები 1953 წ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 17 თებერვალს დღის 1 საათზე № 86 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბორის ანდრიას-ძე პირადოვი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Горький в Грузии в 1891—1892 гг."**.

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ან. ჩხეიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი გ. გიგოლოვი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ქ. წერეთელი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

5 თებერვალს	პ. ჩაიკოვსკი — **პიკის ქალი**
6 თებერვალს	ზ. ფალიაშვილი — **დაისი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — ღალატი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება, **გრიბოედოვის სახელობის** — გვარს ნუ დავასახელებთ, **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცნობები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კიკვიძე (აბონემენტი № 20, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — საგანგებო დავალება (8 ს.), **სანიტარული კულტურის** — სამი საზრუნავი, **თოჯინების ქართული** — ალადინის ჯადოსნური ლამპარი (10 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, სპარტაკი, ისანი, ვოროშილოვის სახელობისა და პლეხანოვის სახელობის კლუბები — აჩრდილები, ამირანი, კოლხიდა, **ოფიცერთა სახლი** — დაბრუნდი სორენტოში, **თბილისი** — ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება, **კომკავშირელი** — სადკო, **დიდუბე** — კასპიის მენავთობეთა ამბავი, **ძერჟინსკის სახელობის** — პირველი ხელთათმანი.

მოქალაქე თამარ დარჩოს ასულმა სტეფანიანმა, მცხოვრებმა, გურჯაანის ქ. № 1, აღძრა საქმე ხახანაშვილის ქ. № 36 მცხოვრებ მოქალაქე რომა კარაპეტის-ძე არუთინიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 17 თებერვალს დღის 2 საათზე № 86 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **სერგი შალვას-ძე ავალიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა". ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი კ. ბაქრაძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ლ. გორგილაძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი გ. კალანდარიშვილი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ძმისწულები მერი, ეთერ, ბიძაშვილები შალვა, სოსო, ვახტანგ ბოცვაძეები, მამიდაშვილები კაკო, ნინო გრიგოლიები იუწყებიან **ელენე გიორგის ასულ ბოცვაძე-ბარამიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-II ბათუმში. გამოსვენება ბინიდან მიქოიანის ქ. № 1.

მეუღლე სოფრომ, შვილები პარასკევა, თამარ, ტიტუა, ტერენტი, მიხეილ, რძლები ეუჟა, ქეუნა, და დესპინე ოჯახებით იუწყებიან **ნაზია ბექიზის ასულ გოგოხია-გერგედავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-II სოფ. ფახულანში (წალენჯიხის რ.).

შვილები გრიშა, ირაიდა, რძლები ელენე, თამარ, შვილიშვილები რუსუდან, გრიგოლ, თამაზ, ოთარ, სიძე ბაგრატ ღონღაძე იუწყებიან **ბარამ მერაბის-ძე თაბუკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-II, 7 ს. ბარნოვის ქ. № 151. გამოსვენება 7-II, 3½ ს.

მამა სიმონ, ძმები გიორგი, ვანო, რძლები თამარ, ევგენია, ძმისწულები ცისანა, გივი, ლეილა, ინა იუწყებიან **ელენე სიმონის ასულ წერეთლის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-II, 8 ს. გამოსვენება 7-II, 3 ს. საკარის ქ. № 8.

მშობლები მარიამ, ესტატე, დები ლილი, ცისანა, ბიძაშვილები ნიკოლოზ, შალვა კობახიძეები ოჯახებით იუწყებიან **ლერი ესტატეს-ძე კობახიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა თლუღში (ამბროლაურის რ.).

მეუღლე საშა, შვილი ვაჟა იუწყებიან **გრიშა ალექსანდრეს-ძე ახათანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-II, 7 ს. გამოსვენება 7-II, 3 ს. ლელაშვილის ქ. № 2.

ვედიდკარის 8-წლიანი სკოლის პედკოლექტივი იუწყება ამავე სკოლის მასწავლებელ **ესტატე ზალიკას-ძე კოტიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-II სოფ. ვედიდკარში (გეგეჭკორის რ.).

მეუღლე ანა შვილებით, რძალი ნადია, სიძე ზ. გაჩეჩილაძე, დები სონია, თამარ, ოლია ოჯახებით იუწყებიან **მიხეილ ალექსანდრეს-ძე ყოჩიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-II, 8 ს. გამოსვენება 7-II, 3 ს. ბათუმის ქ. № 26.

მშობლები გიგო, ბაბო, ძმა ირაკლი, რძალი ოლია მაღალაშვილები შვილებით, დეიდა ნატა ჩარკვიანი იუწყებიან **თამარ გიორგის ასულ მაღალაშვილი-კურინთელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-II, 8 ს. გამოსვენება 7-II, 2 ს. პეროვსკაიას შესახ. № 6.

მეუღლე შუშანა კალანდაძე-ჩოდრიშვილი, შვილები ინგა, რამაზ იუწყებიან **ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ჩოდრიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-II, 8 ს. გამოსვენება 7-II, 3 ს. პლეხანოვის პროსპ. № 151-ა.

მეუღლე მარიამ, შვილები როზა, ანა იუწყებიან **ალექსანდრე დავითის-ძე დემეტრაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-II, 3 ს. სიღნაღში, გამოსვენება შაუმიანის ქ. № 37.

შვილები ნინო, გრიშა, ნიკოლოზ, გიორგი, რძლები თამარ, რუსუდან, ზოია და შვილიშვილები იუწყებიან **პავლე იაკობის-ძე ლეჟავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-II, 8 ს. გამოსვენება 7-II, 3 ს. პლეხანოვის პროსპ. № 150.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** საბჭოთა პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00624

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"